# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 1 სექტემბერი 2008 №200 (3424) ფასი 50 თეთრი

# კუპერის კონდიციონერი ჯერ უზურთოდ მუშაობს...

## გერმანული შეკრება თხლად დაიწყო



ბადრი კეთილაძის ფოტო

გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრები გერმანულ მაინცში ჩავიდა, ოღონდ არასრული შემადგენლობით. ექტორ რაულ კუპერმა გერმანიაში 11 ფეხბურთელი ჩაიყვანა, ისინი, ვინც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობენ. ჩვენებს პირდაპირ მაინცში ჩააკითხა თავდამსხმელმა ლევან მჭედლიძემ, დანარჩენებს კი დღეს ელიან.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროს სანდრო ცნობილაძის ცნობით, შეკრებაზე ყველა ის ფეხბურთელი გამოცხადდება, რომლებიც კუპერმა გამოიძახა. არც ერთს არ აწუხებს ტრავმა და არც სავიზო პრობლემები შექმნია ვინმეს.

ნაკრები ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ჰაიატში" დაბინავდა, საღამოს 8 საათისთვის კი პირველი ვარჯიშიც ჩაატარა. კუპერმა შეგირდები ბურთს არ გააკარა — მთავარი ყურადღება ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას დაუთმო.

*მეკარეები:* გიორგი ლორია („დინამო"), როინ კვასხვაძე („ზესტაფონი"), გიორგი მაკარიძე („დინამო");

*მცველები:* უჩა ლობჟანიძე („ზესტაფონი"), ალექსანდრე კვახაძე („ვიტ ჯორჯია"), ზაალ ელიავა („დინამო");

*ნახევარმცველები:* ლევან ხმალაძე („დინამო"), დავით ოდიკაძე („დინამო"), ირაკლი კლიმიაშვილი („ვიტ ჯორჯია");

*თავდამსხმელები:* ბექა გოცირიძე („ზესტაფონი"), რატი ალექსიძე („ლოკომოტივი"), ლევან მჭედლიძე („პალერმო", იტალია).

აი, ამ ფეხბურთელებმა ივარჯიშეს გუშინ და დღეს საღამოს ნაკრებმა უკვე სრული შემადგენლობით უნდა განაგრძოს ირლანდიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის მზადება.

ერთადერთი, შესაძლოა, რუბინელებს, დავით კვირკველიას და ლაშა სალუქვაძეს შეაგვიანდეთ ცოტა, რადგან თბილისის გავლით ჩადიან გერმანიაში.

**ბაჩა ზალამბერიძე**

# ვაჰ, დრონი, დრონი და კიდევ რანი?

## თასის პირველი ხელისმომკიდე და თასის ორგზის მფლობელი ერთმანეთს ედაბლებიან

თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის მერე გამორჩეულად აღვნიშნეთ, მერვედფინალისტთაგან უმეტესნი პირველლიგელები არიანო. ძალთა თანაფარდობა ასეთი გახლდათ: 7 უმაღლესლიგელი 9 პირველლიგელის წინააღმდეგ.

გუშინ პირველი მერვედფინალური მატჩები ჩატარდა და, მათი შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეოთხედფინალში ეს თანაფარდობა აშკარად უმაღლესლიგელთა სასარგებლოდ გადალაგდება.

პირველ მერვედფინალურ მატჩებში უმაღლესელთაგან ერთადერთმა, „ოლიმპმა" ვერ დაამარცხა ზუგდიდური „ბაია", სხვა მხრივ კი, მოულოდნელობა არსად მომხდარა. თუმცა ერთი კი ამთავითვე შეგვიძლია ვთქვათ: მეოთხედფინალში პირველლიგელი გუნდი აუცილებლად იქნება, რაკი ერთი მერვედფინალური წყვილი სწორედ პირველლიგელებმა შეადგინეს: ეს „ამერი" და „გურია" გახლავან და მათი გლდანური მატჩი გურულების გამარჯვებით, 2:1 დასრულდა. ამ წყვილზე კი უპირველესად ეს არის სათქმელი: ერთი საქართველოს თასის ორგზის მომგები და ბოლო სამი ფინალის მონაწილეა, მეორე — თასის პირველი მფლობელი. დღეს კი, ორივენი დაბალი ლიგის ბინადრები არიან...



დინამოელი მათე ვაწაძე „თბილისს" გადაარჩინდა

ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო






# სიომინმა თავისი გაიტანა: ასათიანი თავისთან წაიყვანა

**მალხაზ ასათიანის** მოსკოვური უქმობა დასრულდა — საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ოთხთვიანი კონტრაქტი გააფორმა კიევის „დინამოსთან".

რუსული „ლოკომოტივის" ქართველ ლეგიონერს კიეველებმა თვალი რამდენიმე თვის წინ დაადგეს, თუმცა მაშინ ასათიანს იქ გადასვლაზე არც უფიქრია. საქმე რაშიდ რახიმოვის გადაწყვეტილებებმა დააჩქარა — რკინიგზელთა მწვრთნელმა ასათიანს ძირითადი შემადგენლობა მოანატრა და მალხაზმაც წასვლა ამჯობინა. მით უმეტეს, „დინამო" ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და თან იქ მწვრთნელად იური სიომინი დახვდება — ეს უკვე მნიშვნელოვანი ფაქტორებია ამ ტრანსფერისთვის.

კიეველებმა ასათიანის გადაყვანა სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე მოასწრეს. ქართველი ფეხბურთელი შაბათს ჩავიდა კიევში, ახალ კლუბთან კონტრაქტი გააფორმა, იმ დღესვე დაბრუნდა მოსკოვში და „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობის მიერ დახვედრებულ დოკუმენტსაც მოაწერა ხელი.

ამგვარად, ასათიანი წლის ბოლომდე ითამაშებს იური სიომინის გუნდში, მერე კი „ლოკომოტივს" უნდა დაუბრუნდეს, თუმცა თუ „დინამომ" მას სასურველი პირობები შესთავაზა, ტრანსფერის განხორციელებას წინ ალბათ არაფერი დაუდგება. მით უმეტეს, ახლანდელ კონტრაქტშიც წერია, რომ ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლება სწორედ უკრაინელებს აქვთ.

შეგახსენებთ, რომ ასათიანით „დინამო" ჯერ კიდევ 2002 წელს დაინტერესდა, მაგრამ მაშინ ტრანსფერი არ შედგა. და აი, 6 წლის შემდეგ...

27 წლის მალხაზ ასათიანმა მოსკოვის „ლოკომოტივში" (2003-2008) ჩატარებულ 118 შეხვედრაში 10 გოლი გაიტანა. არის რუსეთის 2004 წლის ჩემპიონი, 2005 და 2006 წლების ბრინჯაოს პრიზიორი, 2005 წლის რუსეთის სუპერთასის და დსთ-ის ჩემპიონთა თასის მფლობელი.

**კახა შალამბერიძე**

# მჭედლიძე პალერმო გააფორმა!

**ლევან მჭედლიძის** ბედი გაირკვა — 18 წლის ქართველი თავდამსხმელი სერია A-ს „პალერმოში" ითამაშებს.

აქამდე მჭედლიძეს სხვადასხვა გრანდებთან აკავშირებდნენ, ყველაზე რეალური ტურინის „იუვენტუსის" ვარიანტი ჩანდა, თუმცა მას შემდეგ, რაც ტურინელებმა გაიტალიელებული ბრაზილიელი ამაური შეიძინეს, მჭედლიძე „პალერმოს" დაუთმეს.

იტალიელი ჟურნალისტების ცნობით, ეს ერთგვარიბარტერი იყო, რაც „იუვენტუსმა" კარგად გამოიყენა.

ისე, მჭედლიძისთვის „პალერმო" უფრო მისაღები უნდა იყოს. იოლი გამოსაცნობია, რომ ნიჭიერ ქართველ ფეხბურთელს ამ გუნდში უფრო ექნება თამაშის შანსი, ვიდრე „იუვენტუსის" დარ გრანდში. სათამაშო პრაქტიკა კი ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია მისთვის.



საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა კონტრაქტი უკვე გააფორმა და უმალ გერმანიის გზას დაადგა, სადაც ჩვენი ეროვნული გუნდი ირლანდიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის გასამართად ემზადება.

„პალერმოს" წარმომადგენლების განცხადებით, მჭედლიძის პრეზენტაციაც იტალიაში მისი დაბრუნების შემდეგ შედგება.

და ერთიც: „პალერმომ" მჭედლიძე კი შეიძინა, თუმცა ქართველ ფეხბურთელზე გარკვეული უფლებები აწ უკვე მისმა ყოფილმა კლუბმა, „ემპოლიმაც" დაიტოვა.

**კახა შალამბერიძე**

# ბოლნისური ამბები

**ახალი** ჩემპიონატის დაწყებამდე ბოლნისის „სიონში" ცვლილებები კიდევ მოხდა — 32 წლის მცველი ლევან სილაგაძე კახა ცხადაძის აზერბაიჯანულ „სტანდარდში" გადავიდა.

„სიონს" აზერბაიჯანიდან დაუბრუნდა ექსამერელი ფორვარდი რევაზ გოცირიძე და მცველი მიხეილ კობაური, ვინც აზერბაიჯანის გარდა უზბეკეთსა და ყაზახეთშიც ცდილობდა გადასვლას.

ერთიც: ტრავმირებულები არიან ლევან სანიკიძე, გიორგი ოქროპირიძე და გივი დიდავა.

**კახა შალამბერიძე**

# ქართველები უცხოეთში

# გოგუამ სპარტაკს ესროლა

**ქართული** ლეგიონის ამბავი იტალიის სერია A-დან უნდა დავიწყოთ, სადაც პირველი ტური გაიმართა და კახა კალაძის „მილანისთვის" ვერაფერი სიკეთე მოიტანა: „როსონერიმ" შინ „ბოლონიასთან" 1:2 დათმო.

კალაძემ შეუცვლელად ითამაშა.

სერია A-ში კიდევ ერთი ქართველი გვეყოლება — ლევან მჭედლიძე „პალერმოში" გადავიდა, თუმც ცხადია, ერთი დღით ადრე შეძენილ ფეხბურთელს არ ათამაშებდნენ. სიცილიელებმა მჭედლიძის გარეშე წააგეს „უდინეზესთან" — 1:3.

ინგლისის პრემიერლიგის ტურმა ზურაბ ხიზანიშვილის გარეშე ჩაიარა. ჩვენიანი განაცხადშიც არ ყოფილა, „ვარდებმა" კი 1:4 დათმეს „ვესტ ჰემთან".

გერმანიაში „შალკემ" შინ 1:0 სძლია „ბოხუმს", ოღონდ ქართველები მინდორზე არ გამოჩენილან. ლევან ყენია განაცხადში არ გახლდათ, ლევან კობიაშვილმა კი 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუემ" შინ 0:2 დათმო „კიოლნთან". „იაშკამ" ბოლო 16 წუთი იბურთავა, მატჩის მთავარი ამბავი კი კიოლნელთა თურქი უმით ოზატის გულის წასვლა იყო — დაეცა და უგონოდ მყოფი გააქანეს საავადმყოფოში. საბედნიეროდ, გადარჩა.

მეორე ბუნდესლიგაში არც მათე ღვინიანიძეს უთამაშია და არც ოთარ ხიზანეიშვილს, მათმა გუნდებმა, „მიუნხენ 1860"-მა და „აუგსბურგმა" კი კვლავ წააგეს.

ჩეხეთის გამბრინუსლიგაში დიმიტრი ტატანაშვილმა 67 წუთი ითამაშა „პლზენ" — „ტეპლიცეს" (1:1) შეხვედრაში, თუმც დიდად გამოსაჩევი არაფერი გაუკეთებია.

„ბოლესლავის" გიორგი განუგრავამ კი „სიგმასთან" თამაშს (2:1) სათადარიგოთა სკამიდან უყურა.

ქართული გოლი გავიდა მოლდოვაში და ისევ ჯაბა დვალი: 23 წლის ფორვარდმა „დაჩიას" „ისკრასთან" 1:0 მოაგებინა.

გაიტანა ვლადიმერ დვალიშვილმაც, ვისმა „სკონტომაც" სტუმრად 2:2 ითამაშა ზურაბ მენთეშაშვილის „ვენტსპილსთან". დვალიშვილმაც და მისმა თანაგუნდელმა დავით გამეზარდაშვილმაც სრულად ითამაშეს, მენთეშაშვილი კი ბოლოსკენ შეცვალეს.

კვიპროსზე, ლევან ქებაძემ აშნას „ეთნიკოსს" 1:0 მოაგებინა სტუმრად „ატრომიტოსთან". ჩვენიანმა 79-ე წუთზე შეაგდო.

აღვნიშნოთ გიორგი ივანიშვილის მორიგი გოლიც: 19 წლის ქართველმა „რედ სტარი" — „ციურიხის" 21-წლამდელთა მატჩში (0:2) ანგარიში გახსნა.

დანიაში, გიორგი ფოფხაძის „ვიბორგმა" „დოდანდს" 2:0 აჯობა, ჩვენიანმა შეუცვლელად ითამაშა. „ვიბორგი" ალბათ დაუბრუნდება დანიის სუპერლიგას, აი, მეორე ქართველი „დანიელი", მიხეილ ბარაბაძე კი „ჰიკში" თამაშობს და სუპერლიგელ „ესბიერგში" ვარჯიშობს — გადაწყვეტილია, რომ ბარაბაძე ზამთრიდან გახდება „ესბიერგის" ფეხბურთელი.

უკრაინაში ქართველთაგან მნიშვნელოვანი არავის არაფერი გაუკეთებია, მხოლოდ გიორგი ციმაკურიძემ, ვასილ გიგიაძემ და კახა მჟავანაძემ ითამაშეს ამ ტურში.

რაც შეეხება რუსეთს... ლევან გვაზავას „ლუჩ-ენერგია" 1:1-ზე გაეყარა „ტერეკს", ქართველმა 90 წუთი იბურთავა და ტრადიციულად, ერთ-ერთი პირველი კაცი იყო თავისიანებში. ყაზანის „რუბინი" კი ჩემპიონობას უახლოვდება, რაც ალბათ უდიდესი სიურპრიზი იქნება — ყაზანელებმა ერთ-ერთ მდევარ პერმის „ამკარს" სტუმრად 2:1 „აწყენინეს" და სოლიდური ფორით გალიდერდნენ.

**დავით კვირკველიამ** 90 წუთი ჩაათამაშა, **ლაშა სალუქვაძე** კი სათადარიგოებში იჯდა.

ნალჩიკის „სპარტაკმა" დასანანად წააგო მოსკოვურ სეხნიასთან.

„ლუჟნიკიზე" მასპინძლები იგებდნენ და **გოგიტა გოგუამ** მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გაათანაბრა, თუმცა ერთ წუთში მოსკოველებმა მაინც გაიტანეს გადამწყვეტი.

გოგიტას გოლს არ იკითხავთ? 35 მეტრიდან საჯარიმო გაისროლა და ხორვატ მეკარე სტიპე პლეტიკოსას ცხრიანში ჩასვა — ულამაზესი გოლი იყო.

ამ მატჩში გოგუა მე-60 წუთზე შევიდა შეცვლაზე, **დავით სირაძე** 71-ეზე გამოჩნდა, **ალეკო ამისულაშვილი** კი შეუცვლელად იყო მინდორზე.

ცუდია, რომ ბევრ ქართველ ლეგიონერს მოუწია უქმობა, თანაც, სანაკრებო მატჩების წინ...

**ილია ნანობაშვილი**



# ექტორ რაულ კუპერი: საქართველოში ვიცხოვრებ

## პირველი შთაბეჭდილება? მოგების წყურვილი

**საქართველოში შექმნილმა საომარმა მდგომარეობამ ფეხბურთსაც ბევრი წაართვა — ჩვენი ნაკრები მუნდიალ-2010-ის შეარჩევ ციკლს არა თბილისში, არამედ გერმანულ მაინცში დაიწყებს. ექტორ რაულ კუპერი და მისი რაზმი უკვე მაინცშია, ისინი გუშინ გამთენიისას გაფრინდნენ და საირლანდიო მზადება გერმანიაში დაიწყეს.**

**გუშინწინ კი კუპერმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გამართა უელსთან მოგებულ მატჩზე და მოახლოებულ უმნიშვნელოვანეს შეხვედრებზე ისაუბრა. ეს კუპერის პირველი „ქართული" პრესკონფერენცია იყო და მასზე პირველადი შთაბეჭდილებები ასეთია — პირდაპირი, გაწონასწორებული, საქმის მოყვარული...**

— უელსთან ძალიან სასარგებლო ამხანაგური მატჩი იყო. დავინახე ის გზა, რითაც ყველაზე უპრიანი იქნება წასვლა და რომელმაც შეიძლება წარმატება მოგვიტანოს. მოკლედ, პირველი შთაბეჭდილება მხოლოდ დადებითია — ფეხბურთელებში ბრძოლის და მოგების წყურვილი დავინახე.

...და ერთიც, ახლა პრესკონფერენცია 10 წუთით გვიან დაიწყო, მე კი პუნქტუალურობა მიყვარს და ძალიან გთხოვთ, ამიერიდან ეს დავიცვათ.

**— რამდენად დიდი სხვაობაა საშინაო და ნეიტრალურ მატჩებს შორის, ანუ რამდენად დიდი კოზირი უჭირავთ ირლანდიელებს?**

— რა თქმა უნდა, როდესაც შინ თამაშობ და მით უმეტეს, შენი სტადიონი 50 000 კაცზე მეტს იტევს, შემართება უფრო დიდია, ფსიქოლოგიურადაც კარგად ხარ. თუმცა ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს და ნეიტრალურზე უნდა ვითამაშოთ. იმედია, ეს დიდად არ შეცვლის ფეხბურთელთა განწყობას. ჩვენ მაინც დადებითი შედეგის მისაღწევად ვიბრძოლებთ, ოპტიმისტები უნდა ვიყოთ.

**— უელსთან მატჩში ყველაზე მეტად რა ნაკლოვანებები დაინახეთ საქართველოს ნაკრების თამაშში?**

— პოზიტიური უკვე ვთქვი. პირველ რიგში, ეს იყო შემართება და მონდომება. მე მატჩამდე მხოლოდ ორი დღით ადრე გავიცანი გუნდი, ესეც გასათვალისწინებელია. რაც შეეხება ნაკლს: ის ტაქტიკა, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ, ფეხბურთელებს 20-25 წუთის მანძილზე გაჰყვათ, მერე კი პრობლემა შეიქმნა სათამაშო დისციპლინაში.

**— ნაკრების მეკარეებზე რას იტყვით?**

— ძალიან ახალგაზრდები არიან, მაგრამ ვიცი, რომ ამ პერიოდში ისინი საუკეთესო ქართველ მეკარეებად ითვლებიან. მათ გვერდში დადგომა სჭირდებათ, ბევრი უნდა იშრომონ და თუ ასე გააკეთებენ, არ დაეკარგებათ. ამ ეტაპზე მათ ვენდობი.

**— ნორვეგია — ირლანდიის ბოლო ამხანაგური მატჩი თუ ნახეთ და რას იტყვით მეტოქეზე?**

— ეს მატჩი ვნახე და რალაცები შევისწავლე მეტოქის თამაშში. თქმა რად უნდა, ირლანდია კარგი გუნდია, ინგლისის პრემიერლიგის წამყვანი კლუბების ფეხბურთელები ჰყავს. მაგრამ ირლანდიამაც უნდა იცოდეს, რომ საქართველოს შეუძლია სიურპრიზის შეთავაზება: მათ ძლიერი მწვრთნელი ჰყავთ: ჯოვანი ტრაპატონი გამოცდილი, პრინციპული სპეციალისტია. რაც უნდა იყოს, ჩვენ ოპტიმისტური განწყობა გვაქვს.

**— რამდენად დიდ დროს გაატარებთ საქართველოში ამ შესარჩევი ციკლის განმავლობაში?**

— მე აქ სამუშაოდ ჩამოვედი და ასე მწამს: სადაც მუშაობ, იქ უნდა იცხოვრო. საქართველოში ვაპირებ ცხოვრებას!

*პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ, ნახევარ საათში საქართველოს თასის მატჩი დაიწყო „მიხეილ მესხზე", სადაც „ლოკომოტივი" „ჭიათურას" მასპინძლობდა. კუპერი თავის თანაშემწეებიანად ფედერაციიდან ვაკის სტადიონს გაუყვა და მატჩს უყურა. ამ შეხვედრაზე ერთი საათით გვიან „დინამო" — „თბილისის" სათასო შეხვედრა დაიწყო და კუპერმა გვითხრა, მასაც ვნახავო.*

*თანაშემწეებზე არაფერი გვითქვამს: 45 წლის ქერათმიანი არგენტინელი ხოსე კარლოს ფანტაგუსი კუპერის პირველი ასისტენტი იქნება, ფიზმომზადების მწვრთნელი კი ესპანელი ანხელ პუებლაა.*

*ფანტაგუსის რამდენიმე მატჩი არგენტინის ნაკრებშიც ჩაუტარებია, ისე კი, კარიერა კუპერის დარად „ფერო კარილ ოესტეში" დაიწყო, ერთი წელი კი (1987-88) ესპანურ „ბეტისშიც" ითამაშა. გარდა ამისა, ისრაელურ „ჰაპოელ ბიატ-შინში" და არგენტინულ „პლატენსეშიც" თამაშობდა. ის ნახევარმცველი გახლდათ.*

**ილია ნანობაშვილი**

# ვინ გვიმსაჯებს მსოფლიოზე

**6 სექტემბერს** საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში პირველ შეხვედრას ჩაატარებს: გერმანულ მაინცში ირლანდიას დაუხვდება.

შეხვედრას უნგრელი მსაჯები მოემსახურებიან: ზოლტ საბო (არბიტრი), რობერტ კიშპალი, ვენცელ ტოტი (ასისტენტები), მიჰალი ფაბიანი (მეოთხე მსაჯი).

მსაჯთა დამკვირვებელი ბელარუსი იური დუპანაუ იქნება, უეფას დელეგატი კი დანიელი იან დამგაარდი.

10 სექტემბერს კი საქართველოს ნაკრები შესარჩევ ტურნირის მეორე მატჩს ჩაატარებს: უდინეში ესტუმრება იტალიას.

ამ შეხვედრას ავსტრიელები განსჯიან: ტომას აინვალერი (არბიტრი), როლანდ ჰაიმი, ნორბერტ შვაბი (ასისტენტები), შტეფან მესნერი (მეოთხე მსაჯი).

მსაჯთა დამკვირვებელი ესპანელი მანუელ დიას ვეგა იქნება, უეფას დელეგატი კი ებრაელი იოავ შტრაუსი.

**ბაჩა შალამბერიძე**

# საქართველო პოლონეთს პოლონეთში დაუხვდება?

**5 სექტემბერს** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში რუსეთს ნეიტრალურ მოედანზე, მინსკის „ტრაქტორზე" დაუპირისპირდება.

მატჩს ჩრდილოირლანდიელ მსაჯთა ოთხეული მოემსახურება: ადრიან მაკკორტი (არბიტრი), თომას ფეირფილდი, დენ სტეელი (ასისტენტები), დევიდ მალკოლმი (მეოთხე მსაჯი).

მსაჯთა დამკვირვებელი უნგრელი იანოშ რინგია, უეფას დელეგატი კი რუმინელი იონელ პისკანუ.

10 სექტემბერს კი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები პოლონეთს გაეჯიბრება.

ეს მატჩი თბილისის ნაცვლად სხვა ქვეყანაში ჩატარდება.

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გვითხრა, არ არის გამორიცხული, შეხვედრა პოლონეთში გაიმართოს.

საბოლოო გადაწყვეტილებას დღეს მიიღებენ.

ამ მატჩს სომეხ მსაჯთა ოთხეული მოემსახურება: არმენ ამირხანიანი (არბიტრი), სურენ ბალიანი, ზავენ ოვანესიანი (ასისტენტები), არარატ ტაგარიანი (მეოთხე მსაჯი).

დამკვირვებელი ებრაელი სუეილ დაოოდია, უეფას დელეგატი კი ლუქსემბურგელი ივ ბურნიონი.

**ნუგზრი ლოლაძე**

# კევინ კილბეინი საქართველოსთან აღარ იქნება



**დანაკლისია** ჯოვანი ტრაპატონის ირლანდიის ნაკრებში: 33 წლის ნახევარმცველმა კევინ კილბეინმა ყვრიმალი გაიტეხა, ოპერაცია სჭირდება და დაახლოებით თვენახევარს გამოტოვებს.

შესაბამისად, კილბეინი 6 სექტემბერს საქართველოს ნაკრებთან ველარ ითამაშებს.

ინგლისური „უიგანის" მარცხენაფლანგელმა „ჰალთან" 5:0 მოგებულ მატჩში მიიღო მძიმე ტრავმა.

ეს ის კილბეინია, ხუთი წლის წინანდელ საქართველო — ირლანდიის შესარჩევი შეხვედრისას გულშემატკივრისგან ნასროლი დანა რომ მოხვდა ზურგში.

**ილია ნანობაშვილი**

# იბერიამ ურაგანს ბრაზილია აჩვენა

**27-28 აგვისტოს** უკრაინის ქალაქ ივანო-ფრანკოვოში ამხანაგური შეხვედრები გაიმართა — საქართველოს ფუტსალის ჩემპიონი „იბერია 2003" უკრაინულ „ურაგანს" გაეჯიბრა.

პირველი თამაში საქართველოს ჩემპიონის მოგებით დამთავრდა — 3:1.

გოლები ბრაზილიელმა ლეგიონერებმა, რონიმ, რიკარდუმ და დოდო და კოსტამ გაიტანეს.

მეორე შეხვედრა კი 4:4 დამთავრდა. ჩვენიანთაგან ორი გოლი დოდო და კოსტამ შეაგდო, თითო-თითო კი დანიელმა და ვახტანგ წერეთელმა.

**ნეკო ოსეფაიშვილი**

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## მერვედფინალი. პირველი მატჩები

www.pfl.ge



მათე ვაწაძე ჰეთ თრიქით გამოირჩა

# კუპერი დილომში გოლით მივიდა

თბილისი.30 აგვისტო. 17 საათი. დილმის ბაზა. 150 მაყურებელი

### დინამო 6:1 თბილისი

| | |
|---|---|
| 1:0 თომაშვილი (5), 2:0, 3:0 ვაწაძე (33, 36), 4:0 სპასოევიჩი (38), 4:1 ტორონჯაძე (50), 5:1 ვაწაძე (77), 6:1 ოდიკაძე (88) | |
| დინამო: ლორია, ფირცხალავა, შ. კაშია, გ. კაშია, თომაშვილი (ელიავა 46), ოდიკაძე, ხმალაძე (ნერგაძე 73), დილმელაშვილი, გველესიანი (ნ. ჯიშკარიანი 79), სპასოევიჩი, ვაწაძე<br>*სათადარიგონი:* ნადირაძე, ინწკირველი, ქანთარია, ჯიუსი<br>მწვრთნელი: რაინერ ცობელი | თბილისი: ხარშილაძე, სარაჯიშვილი, ლ. ტყებუჩავა, ოდიშარია, სებისკვერაძე, გურეშიძე, გ. იაშვილი (მიქელაძე 46), ზვიადაძე, კბილცეცხლაშვილი (სულუხია 64), ჯაში, ტორონჯაძე<br>*სათადარიგონი:* გიორგობიანი, ჭაფოძე, დ. ამისულაშვილი, ი. დევდარიანი, ბელქანია<br>მწვრთნელი: გელა გომელაური |
| გაფრთხილება: სარაჯიშვილი (28), გ. კაშია (78), ელიავა (89) | |
| მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, დ. კურტანიძე, ლ. მიქელაძე, თ. გვანცელაძე | |
| დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე; დირექტორი: გ. ბარქაია | |



ჰექტორ რაულ კუპერი

**ნუკრი ლოლაძე**

**ორივე** გუნდი მოედანზე შავი სამკლავურებით გამოვიდა და, რა თქმა უნდა, მატჩიც წუთიერი დუმილით დაიწყო.

ალბათ, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ „დინამო" ადვილად მოიგებდა.

ანგარიში მე-5 წუთზე გაიხსნა და ამ გოლს წამებით მოუსწრო საქართველოს ნაკრების თავკაცმა ექტორ რაულ კუპერმა. გოლი კი ასე გავიდა: დავით დილმელაშვილმა კუთხური ჩააწოდა, ლევან ხმალაძემ კოხტად დაუგდო თავით კართან მდგომ გულვერდ თომაშვილს და 1:0.

მე-12 წუთზე მათე ვაწაძეს შეეძლო გატანა, მაგრამ დარტყმა დააყოვნა და მერე მცველები აღუდგნენ წინ.

პირველ ტაიმში „თბილისმა" ერთადერთი, რაც მოახერხა, ის იყო, რომ გიორგი ზვიადაძემ დაარტყა კარში, თუმც სუსტად და გიორგი ლორიასაც აღება არ გასჭირვებია.

დინამოელები უზარმაზარ უპირატესობას ფლობდნენ და 27-ე წუთზე დავით ოდიკაძემ ხარიხა შეაზანზარა. იმავ ოდიკაძის გადაცემით კი ვაწაძემ ისარგებლა და მიხეილ ხარშილაძეს შორეულ კუთხეში გაუტანა — 2:0.

მალევე ხმალაძის პასით დუბლი გააზერხა ვაწაძემ, ორ წუთში კი ილია სპასოევიჩმა ისარგებლა მეკარისა და მცველების უყურადღებობით და 4:0.

გერმანელმა მწვრთნელმა რაინერ ცობელმა ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული ზაალ ელიავა მეორე ტაიმიდან ჩართო თამაშში და კუპერმაც პირველად ნახა საქმეში ელიავა.

სხვათა შორის, მატჩს იღებდა გერმანული ტელეარხი ZDF-ი, რომელიც ცობელზე ამზადებს გადაცემას.

ქვეყნის ჩემპიონმა მეორე ნახევარი ინერტულად დაიწყო და „თბილისმაც" საწყის წუთებშივე მოახერხა ერთი ბურთის გაქვითვა — მამუკა ტორონჯაძემ ეფექტური თავური გაიტანა. ეროვნული ნაკრების თავკაცი კი მატჩის დასრულებას აღარ დაელოდა — 73-ე წუთი იყო, როცა იგი ბაზას გაეცალა.

ამის შემდეგ დინამოელებმა კიდევ ორჯერ იხეირეს. დილმელაშვილის ჩაწოდებულს ოდნავ წაჰკრა თავი ვაწაძემ და ბურთი ცხრიანში ჩააჭედა. სულ ბოლოს კი ოდიკაძის დარტყმული ოდნავ შეეხო მცველს და მეკარეს თავზე გადაევლო.

# ბაიამ, არც ისე პატარა ვარო

რუსთავი. 31 აგვისტო. 16 საათი. ფოლადი. 300 მაყურებელი

### ოლიმპი 1:1 ბაია

| | |
|---|---|
| 1:0 ფეიქრიშვილი (7), 1:1 დობროვოლსკი (63ს.კ.) | |
| ოლიმპი: მერლანი, თ. ღონღაძე, გ. ონიანი, ნ. მაჭავარიანი, ჩიკვილაძე, გ. სეთურიძე, გაბიდაური (დობროვოლსკი 46), ფეიქრიშვილი (ფიფია 65), ბაბუნაშვილი, მიკუჩაძე (გ. ჩხეტიანი 46), გ. მეგრელაძე<br>*სათადარიგონი:* სტურუა, დეკანოსიძე<br>მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი | ბაია: მაქაცარია, ექონია, პაჭკორია, გ. ყვანია, ვართაგავა, წურწუმია (ნ. კვეკვესკირი 90), ბოკუჩავა (რაფავა 75), სვირავა, ძალამიძე, გ. ქირია, კუტალია (გუგუჩია 75)<br>*სათადარიგონი:* ივარდავა, ნ. შონია, კ. შონია, ლ. ქანთარია<br>მწვრთნელი: ჰერბერტ ცანკერი |
| გაფრთხილება: ფეიქრიშვილი (52), პაჭკორია (90) | |
| მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ზ. ჯვარიძე, გ. ყრუაშვილი, მ. ურუშაძე | |
| დამკვირვებელი: ე. სილაგავა | |

**ნუკრი ლოლაძე რუსთავიდან**

**თამაში** რუსთავშიც წუთიერი დუმილით დაიწყო და გუნდებიც შავი სამკლავურებით იყვნენ.

„ოლიმპისთვის" მატჩი კარგად დაიწყო. მე-7 წუთზე საჯარიმოს გარედან გიორგი ფეიქრიშვილმა დაარტყა, თითქოს „ბაიას" მეკარეს აღება არ უნდა გასჭირვებოდა, თუმცა არჩილ მაქაცარიამ ბურთს ვერაფერი მოუხერხა და ახლო კუთხეში გაუშვა.

ვერ გეტყვით, რა იფიქრეს ამის შემდეგ რუსთაველებმა, მაგრამ თვალში საცემი ის იყო, რომ „ოლიმპის" ფეხბურთელები ძალიან ცოტას მოძრაობდნენ და ელემენტარულ სიტუაციებში ცდებოდნენ. „ბაია" კი ძალიან მობილური გუნდი ჩანს. გაშვებული გოლის შემდეგ ზუგდიდელებმა ყურები არ ჩამოყარეს და უმაღლესლიგელებს ტოლი არაფერში დაუდეს. ცალკე აღნიშვნის ღირსია საყრდენი ნახევარმცველი ნიკა ძალამიძე. ამ პატარა ბიჭმა გამოცდილ მეტოქეებს თავბრუ დაახვია, რამდენჯერმე ისე ტექნიკურად ითამაშა, რომ რუსთაველი გულშემატკივრებიც აღტაცებაში მოიყვანა.

„ოლიმპი" ძალიან არეული ჩანდა, არც დაცვაში იყო საიმედო, ნახევარმცველებიც ბევრს სცოდავდნენ და საერთოდაც, პირველ ტაიმში ფეიქრიშვილის გარდა ხეირიანად ერთიც არ გაქცეულა.

ტაიმის ბოლოს კოკა მიკუჩაძემ ფეიქრიშვილისგან მიიღო გადაცემა, კარგად დაამუშავა, მეკარეს თავზე გადაუგდო და მცველით დაცულ კარში ვეღარ გაიტანა.

რუსთაველებმა ვერც მეორე ნახევარში გამოასწორეს თამაშის ხარისხი, „ბაიას" მონდომებამ კი შედეგი 63-ე წუთზე გამოიღო. ლევან წურწუმიამ კუთხური ჩააწოდა, რუსთაველმა დენის დობროვოლსკიმ კი თავით საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი — მირზა მერლანი უძლური იყო.

„ოლიმპის" ახალწვეულ გოგი ფიფიას ბოლო წუთებში გააქტიურებას ორი სახიფათო მომენტი მოჰყვა „ბაიას" კართან. ფიფიამ გონივრული გადაცემით გაგა ჩხეტიანი გაიყვანა კარგ პოზიციაზე. მან კარის მიმართულებით კი დაარტყა, მაგრამ ბურთი გარედან მოხვდა ბადეს.

მერე გოგის თავადაც მართებდა გატანა — გია მეგრელაძემ ჯარიმა კარში არ დაარტყა და მშვენიერი გადაცემა მიაწოდა ფიფიას, თუმც მან მეკარეს ვერ აჯობა.

რა თქმა უნდა, ნამატჩევს მასპინძლები გაწბილებულნი იყვნენ. „ბაიას" მთავარი მწვრთნელი ჰერბერტ ცანკერი კი სიხარულს ვერ მალავდა, შედეგით და თამაშის ხარისხით ძალიან კმაყოფილი ვარო.



ზუგდიდელთა სიხარული რუსთაველთა მწუხარების ფონზე

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## მერვედფინალი. პირველი მატჩები

www.pfl.ge



სტუმრებს პირველი გოლი რატი ალექსიძემ (№8) გაუტანა



ლევან კვარაცხელიამ ორივე 17-იანი გააგდო

# ლოკომოტივის ერთი ამოსუნთქვა და ბრუსლი ვაკეში

თბილისი. 30 აგვისტო. 16 საათი. მიხეილ მესხი. 300 მაყურებელი

## ლოკომოტივი 3:0 ჭიათურა

| | |
|---|---|
| 1:0 ალექსიძე (22), 2:0 დარასელია (23), 3:0 ჩირიკაშვილი (43) | |
| ლოკომოტივი: გ. ლომაია, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ფარულავა (დ. ჩაგელიშვილი 73), სალარიძე, ზ. ჩხეტიანი, სამხარაძე (ბუდალაშვილი 66), დარასელია, ჩირიკაშვილი, კახელიშვილი (ბარბაქაძე 46), ალექსიძე<br>*სათადარიგონი:* ბათიაშვილი, ქუხილავა, ა. კობიაშვილი, ლ. გრიგალაშვილი<br>მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე | ჭიათურა: ბადურაშვილი, ბრუსლი, გაფრინდაშვილი (ხაჭიპერაძე 46), ბრეგვაძე, კევლიშვილი, ძაგანია, გ. ილურიძე, სეფერთელაძე (ვაშაძე 83), ვ. ტყემალაძე (ნ. ტყემალაძე 77), სევასტოპულო, ნკოგო<br>*სათადარიგონი:* დარჯანია, ცუცქირიძე, მიშველაძე, ბარათაშვილი<br>მწვრთნელი: გიგლა იმნაძე |
| გაფრთხილება: ბარბაქაძე (60), ბადურაშვილი (66) | |
| გაძევება: ფოფხაძე (70), ნკოგო (70) | |
| მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ზ. ბერულავა, თ. ხუჭუა; ვ. გუმბერიძე | |

**ილია ნანობაშვილი**

**შარშან** სათასო ჯგუფში იყო, ჭიათურის „მაღაროელმა“ ორივე მატჩი რომ მოუგო „ლოკომოტივს“, თუმც ამჯერად რომელ მოგებაზეა ლაპარაკი, როცა 23 წუთში ყველაფერი დამთავრებული იყო: „ლოკომოტივს“ იმხელა უპირატესობა ჰქონდა, თამაშის წყურვილი არც ეტყობოდა — ეს უნებურად გემართება, როცა ხედავ, რომ მეტოქე წინააღმდეგობას ვერ გიწევს.

ამ მატჩს ექტორ რაულ კუპერმა და მისმა თანაშემწეებმაც უყურეს და გულშემატკივრები ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, ახლა რომ გაახსენდება კუპერს „ვალენსიას“ და „ინტერის“ თამაშები, მერე კი ამას შეადარებს, რა ხასიათზე დადგებაო... „მრავლისმნახველი“ ოთარ მამასახლისიც კი გაკვირვებული იყო, ეს რა თამაშია, თუ არ უნდათ, საერთოდ ნუ გამოვლენ სტადიონზეო.

სამაგიეროდ, არგენტინელმა სპეციალისტმა უყურა, რომ მისი ნაკრების წევრი რატი ალექსიძე ერთი თავით მაღლა იდგა მინდორზე მყოფ სხვა ფეხბურთელებზე. რატიმ ბევრი მომენტი გააფუჭა, მაგრამ მის ფეხებთან ბურთის გაჩენა და ხიფათი ერთი იყო. აკი ანგარიშიც მან გახსნა: 22-ე წუთზე საჯარიმოს გარედან შეასრიალა ბურთი დაბალ კუთხეში.

ალექსიძემ მანამდეც გაიტანა, თუმცა თამაშგარე იყო...

გოლიდან ერთ წუთში კი ირაკლი სამხარაძემ შეაგორა ბურთი „ჭიათურას“ საჯარიმოში, სადაც სტუმართა მცველმა გაფრინდაშვილმა ფეხი ააცილა და ვიტალი დარასელიამ საჩუქარი მშვენივრად შეირგო — 2:0.

ტაიმის ბოლოს კი დარასელია-ალექსიძემ მარტივი (თუმც „ჭიათურისთვის“ ძნელი და ამოუხსნელი) კომბინაცია გაითამაშეს და ირაკლი ჩირიკაშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვეს, რამაც მესამე გოლი მოიტანა.

მომენტები კიდევ იმდენი იყო, ჩამოთვლად აღარ ღირს.

„ლოკომოტივის“ კართანაც იყო ორი ნახევარხიფათი, თუმცა ვერც კევლიშვილმა და ვერც კამერუნელმა ლეგიონერმა ნკოგომ ვერ ივარგეს.

ჰო, ნდონი ნკოგო და ისააკ ბრუსლი „ჭიათურის“ ლეგიონერები არიან, ორივე კამერუნიდან გახლავთ; თამაშით კი, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან უფერულები ჩანან.

ნკოგო უხეშობით უფრო გამოირჩეოდა — აკი ერთ მომენტში ლოკომოტიველმა დაჩი ფოფხაძემ ვერ მოითმინა და ხელი ჰკრა გამეტებით, რის გამოც კამერუნელიც გააძევეს და ფოფხაძეც.

მოკლედ, შეგვიძლია „ლოკომოტივს“ მეოთხედფინალში გასვლა მივულოცოთ.

# დიდ კაცთან პატარა კაცსა...
## ხსოვნა, ცრემლი და ტაში ზესტაფონში

**ბეჟან ჩხეიძე ზესტაფონიდან**

**საქართველოში** დატრიალებულმა აგვისტოს მოვლენებმა მთელი სამყარო შეძრა, რუსი ოკუპანტების აგრესიული პოლიტიკა ქართულ ფეხბურთსაც შეეხო თავისი ბინძური ხელებით...

ფეხბურთი რომ უამრავი ადამიანის საყვარელი თამაშია, ზესტაფონის სტადიონზე მოსულმა გულშემატკივარმაც დაადასტურა — იყო ომში დაღუპულთა პატივის მიგება, ალალი ცრემლი და ტაში...

ამ მატჩში ფავორიტად „ზესტაფონს“ მიიჩნევდნენ და არცთუ უსაფუძვლოდ. იმერლებს ამის დამტკიცება არც გასჭირვებიათ, მეტოქე ყველა რგოლში დაჯაბნეს და საპასუხო მატჩს მხოლოდ ფორმალური ხასიათი დაუტოვეს.

გუნდები მოედანზე შავი სამკლავურებით გამოვიდნენ, რითიც პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას.

როგორც მოსალოდნელი იყო, საწყის წუთებში უპირატესობა მასპინძლებმა იგდეს ხელთ. სტუმრებმა დაცვითი ტაქტიკა აირჩიეს და მთელი გუნდით გამაგრდნენ უკან.

პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა მე-7 წუთზე შექმნეს — უჩა ლობჟანიძემ კარგი გადაცემა გაუკეთა საჯარიმოში მყოფ ნიკა გელაშვილს, მაგრამ სტუმართა მეკარემ ითამაშა დასწრებაზე და განმუხტა სახიფათო მომენტი.

23-ე წუთზე ჟილვან ვიეირამ საჯარიმოსთან მოატყუა რამდენიმე მცველი და ბურთი დაუგორა ბექა გოცირიძეს, რომელმაც 25 მეტრიდან აუღებელი დაარტყა — 1:0.

ათიოდ წუთში მარცხენა ფრთაზე კარგად გაისარჯა გელაშვილი, ქუსლით გადააწოდა ბურთი ვიეირას და ბრაზილიელის ჩაწოდებულს ბრწყინვალედ გამოეხმაურა კამერუნელი ერიკ რომეო ჩასემი — ულამაზესი თავურით ბურთი ხარიხის ქვეშ შეაფრინა.

ჩასემი გოლის შემდეგ ტრიბუნასთან ახლოს მივიდა, შავ სამკლავურზე ხელი მოიკიდა და ამ ვაჟკაცური ჟესტით მიაგო პატივი დაღუპულთა ხსოვნას.

ტაიმის ბოლოს გელაშვილს ორჯერ მართებდა გატანა, მაგრამ მეკარე შალვა დოლაძე თამაშობდა საიმედოდ.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა უფრო მეტი სივრცე მიიღეს, მოძრაობაც უკეთ გამოუვიდათ და ბურთიც მათი იყო. ეს ყოველივე კიდევ სამ გოლში ასახეს.

59-ე წუთზე მარცხენა ფრთაზე გოცირიძემ კარგად უპასა როინ ონიანს, ხოლო მის ჩაწოდებულს საჯარიმოში შეურჩია ადგილი გელაშვილმა და სტუმრებს მესამედ მოუხდათ თამაშის ცენტრიდან დაწყება.

ამის შემდეგ მასპინძელთა თავკაცმა მოედანზე ახალგაზრდა ფეხბურთელები შეუშვა, თუმცა თამაში იმავე სცენარით წარიმართა.

შეცვლაზე შესულების, ირაკლი ძარიას და ნიკა კვასხვაძის ბურთთან პირველივე შეხება კი სულაც გოლით დაგვირგვინდა — 4:0.

77-ე წუთზე იმავ ძარიამ და კვასხვაძემ კარგად გაითამაშეს ბურთი და გელაშვილმა მეხუთეც შეაგდო.

მატჩის ბოლოსკენ სტუმრებმა სახიფათო შეტევა განახორციელეს. მირიან მიქაძე მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ დარტყმა სუსტი გამოუვიდა...

ზესტაფონი. 30 აგვისტო. 16 საათი. ცენტრალური. 500 მაყურებელი

## ზესტაფონი 5:0 ჩიხურა

| | |
|---|---|
| 1:0 გოცირიძე (23), 2:0 ჩასემი (34), 3:0 გელაშვილი (59), 4:0 ნ. კვასხვაძე (62), 5:0 გელაშვილი (77) | |
| ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, ს. თოდუა (ფრიდოლინი 71), უ. ლობჟანიძე, სანტოსი, ლომაშვილი, დაუშვილი, რ. ონიანი (ძარია 62), ვიეირა, გელაშვილი, ჩასემი, ბ. გოცირიძე (ნ. კვასხვაძე 61)<br>*სათადარიგონი:* ჭანტურია, შ. ლონლაძე, იონანიძე, ბენაშვილი<br>მწვრთნელი: თემურ მახარაძე | ჩიხურა: დოლაძე, დოლონაძე, ბარაბაძე, მგალობლიშვილი, ზივზივაძე, ჭილლაძე, ჭიკვაიძე (ზ. ნოზაძე 30), პეტრიაშვილი (მაჭარაშვილი 74), ზამბახიძე, მ. მიქაძე, კობახიძე (როგავა 74)<br>*სათადარიგონი:* მწყერაშვილი, ხვედელიძე, ენუქიძე, ცარციძე<br>მწვრთნელი: სოსო ფრუიძე |
| მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი, დ. სანაია | |
| დამკვირვებელი: ვ. ეჯიბია | |

30 აგვისტო

**მერანი (მ) 0:1 სპარტაკი**

მსაჯები: გ. დოგრაშვილი, გ. ჩიგოგიძე, დ. სანოძე, ჯ. ბუიშვილი

31 აგვისტო

**სიონი 3:0 კოლხეთი**

მსაჯები: ლ. სილაგავა, ბ. ჭიჭინაძე, ზ. ხუციშვილი, ზ. ასკაროლლი

2 სექტემბერი

**ვიტ ჯორჯია — სამტრედია**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ა. გუნთაძე

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## მერვედფინალი. პირველი მატჩი



ერთი წლის შემდეგ: მძიმე ტრავმისგან გამოჯანმრთელებულმა რატი წინამძღვრიშვილმა პირველი ოფიციალური გოლი გაიტანა

# გურულების არასასიამოვნო სტუმრობა

თბილისი. 31 აგვისტო. 16 საათი. ამერი. 500 მაყურებელი

**ამერი 1:2 გურია**

| | |
|---|---|
| 1:0 წინამძღვრიშვილი (15), 1:1 ტ. კუკულაძე (34), 1:2 შარაშენიძე (69) | |
| ამერი: ლ. ნადირაშვილი, ელბაქიძე, გვაძაბია, ხატიაშვილი, სანიკიძე, ბენდელიანი (ცხოვრებაშვილი 54), ხუციძე, კაკაბაძე, ტიკურიშვილი (ხელაძე 72), ჩიმაკაძე (გრძელიძე 72), წინამძღვრიშვილი<br>სათადარიგონი: გვენცაძე, ჯელაძე, ჯინიკაშვილი, ბოჯგუა<br>მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | გურია: აბრამიშვილი, რ. კუკულაძე, ქურიძე, გოგიბერიძე, წილოსანი, იმნაძე, კილაძე, ბეგოიძე (სიხარულიძე 88), ტ. კუკულაძე (კოტრიკაძე 60), კვერენჩხილაძე, შარაშენიძე (ურუშაძე 72)<br>სათადარიგონი: გოგუაძე, ჯორბენაძე, მგელაძე<br>მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი |
| გაფრთხილება: ბენდელიანი, კოტრიკაძე, ხუციძე, კილაძე, კაკაბაძე | |
| მსაჯები: ა. ნონიკაშვილი; ლ. თოდრია, ზ. ფიფია; ა. კრიჭაშვილი | |
| დამკვირვებელი: ა. კაჭახიძე | |

**ილია ნანობაშვილი**

„ამერის" პირველლიგელობა თვალს მიუჩვეველია. მიუჩვეველია ის თამაშიც, რაც გუშინ „ყვითლებმა" გლდანში აჩვენეს. არადა, „ამერი" არ იყო, ორი წლის წინ ბერლინის „ჰერტა" უეფას თასიდან კინალამ რომ დაიფრინა? ახლა ამაზე საუბარი შორს წაგიყვანს, გლდანელთა გუნდზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ასეც არ იყოს, „გურიაც" იტყვის თავის ტრადიციებზე, პატარა ლანჩხუთის გუნდი ერთ დროს საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში თამაშობდა, რაც მაშინ უნიკალური მოვლენა იყო...

ფეხბურთი ესაა: ერთნი მოდიან, მეორენი მიდიან, ჩვენ კი გლდანის თამაშზე ვთქვათ, რომელიც მასპინძლებმა უკეთ დაიწყეს და წაგებისა არაფერი ეტყობოდათ.

რატი წინამძღვრიშვილი და ბესიკ ჩიმაკაძე სხვების ფონზე გამოირჩეოდნენ, სწორედ ამ ორმა გამოძერწა ანგარიშის გამხსნელი გოლი: ჩიმაკაძემ კარგად უპასა რატის, რომელიც მარცხნიდან შევიდა მეკარე ალექსი აბრამიშვილთან პირისპირ და შანსიც არ დაუტოვა — 1:0 მე-15 წუთზე.

წინამძღვრიშვილს შესვენებამდე კიდევ ორჯერ შეეძლო გატანა, თუმც ერთხელ მეკარეს ვერ აჯობა, მეორედ კი ბურთის თავზე გადაგდება მოინდომა და არაზუსტად გამოუვიდა.

„გურიაც" არ იყო უქმად, ბურთს კარგად ათამაშებდა და როცა უტევდა, სიმწვავეს არ აკლებდა. 34-ე წუთზე კი დაუფასდა: გიორგი ბეგოიძემ შორეულ ძელთან ჩააწოდა, სადაც ტარიელ კუკულაძემ იმარჯვა და ლადო ნადირაშვილი უშანსოდ დატოვა.

კიდევ ერთი შანსი ჰქონდათ ლანჩხუთელებს, თუმც ნადირაშვილმა გოჩა წილოსანის საჯარიმოდან გასროლილი მოიგერია.

1:1 რომელი სამასპინძლო ანგარიშია — ამიტომ მეორე ნახევარში ამერელთა უპირატესობას ველოდით. თავიდან თითქოს ასეც იყო, „გურია" უფრო მეორე ნომრად თამაშობდა და ერთ მომენტში აშკარად გადარჩა, როცა ირაკლი ხუციძის ჩაწოდებულს მურთაზ კაკაბაძემ კარგი გაგრძელება მოუძებნა, ჩიმაკაძეს მეკარის ბაქანთან თავზე დაასვა ბურთი და გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ „ჩიმაკას" თავური აბრამიშვილმა ხელებში გააშეშა. თითქმის ანალოგიურ მომენტში აბრამიშვილმა რატის თავურიც აიღო, თუმც ამ დროს „გურია" უკვე იგებდა...

სადღაც მე-60 წუთიდან ლანჩხუთელებმა გვარიანად მოუმატეს, კარგად კომბინირებდნენ და ტემპსაც მაგრად უმატეს. აქტიურმა ბეგოიძემ ნადირაშვილი კიდევ ერთხელააწრიალა, მეკარემ ბურთი ძლივს გადააგდო კუთხურზე და ამ კუთხურსაც არეულობა მოჰყვა. „ამერი" აშკარად გადარჩა, მაგრამ ცოტა ხანში მაინც გაუშვა — გააზრებულ კომბინაციას მიხეილ კოტრიკაძის მარჯვნიდან ჩაწოდებული, ბეგოიძის თავური და თემურ შარაშენიძის თავითვე გატანილი მოჰყვა. ეს 69-ე წუთზე.

„გურია" ამის შემდეგაც უკეთ თამაშობდა, სივრცე ეშლებოდა და იყენებდა, ბეგოიძე და გიგა კვერენჩხილაძე ერთი-ერთზე ჩაგრავდნენ „ამერის" მცველებს, ეგაა, გურულებს დამაგვირგვინებელი დარტყმა არ გამოსდიოდათ.

დიახ, გუნდი, რომელიც ზედიზედ სამჯერ იყო საქართველოს თასის ფინალში და აქედან ორჯერ მოიგო, წლეულს სულაც მერვედფინალში გავარდნა ემუქრება. ემუქრება კი არა, ასეთი თამაშით, ალბათ შანსი აღარ აქვს...

„გურიამ" კი პირველლიგელის კვალობაზე კარგი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა.



ბოლო ქართული გუნდი, თბილისის „ვიტ ჯორჯიაც" გამოეთიშა ევროთასებს. ვიტელები კი ებრძოლნენ „აუსტრიას", თუმცა მარცხი ვერ აირიდეს. ავსტრიელებმა თითო ტაიმში თითოჯერ გაიტანეს და მშვიდად გავიდნენ მომდევნო ეტაპზე. გუშინ ვიტელთა თავკაც ნესტორ მუმლაძეს უკვე ცივი გონებით შევაფასებინეთ ავსტრიული მატჩი...

# არ ვწუწუნებთ, მაგრამ ვერ მოვემზადეთ...

— ძალიან მძიმე მატჩი იყო. პირველ ტაიმში რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, მათ კი თავიანთი შანსი არ გაუშვეს. ისე, ძალიან ყისმათიანი გოლი გაგვიტანეს. მინდა გითხრათ, რომ პირველ ტაიმში გიორგი მელქაძის დარტყმულის შემდეგ „აუსტრიას" მცველს საჯარიმოში ბურთი აშკარად ხელზე მოხვდა, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. ნამატჩევს მსაჯებთან შევიდა ჩვენი წარმომადგენელი ანატოლი მილჩენკო და მატჩის დელეგატმა მისი თანდასწრებით უთხრა არბიტრს, პენალტი უნდა დაგენიშნაო...

მეორე ნახევარშიც გვმართებდა გატანა, თუმცა საწადელს ვერ მივაღწიეთ.

**— მაინც როგორ ფიქრობთ, „აუსტრიას" ბარიერის გადალახვა შესაძლებელი იყო?**

— არ მიყვარს წუწუნი, არც თავს ვიმართლებ. ასეთი მატჩისთვის სხვანაირი მომზადებაა საჭირო. ტრნავის „სპარტაკის" დამლევის შემდეგ მხოლოდ ერთი ტესტ-მატჩი ვითამაშეთ. მოგეხსენებათ, რა მდგომარეობა იყო ჩვენს ქვეყანაში. რაც უნდა ვიძახოთ, რომ ვარჯიში არ შეგვიწყვეტია, სათანადოდ მომზადება მაინც შეუძლებელი იყო.

**— ქართველი გულშემატკივრები მატჩს დაესწრნენ?**

— იყო რამდენიმე ჯგუფი და მხურვალედაც გვიქომაგეს.

**— ავსტრიელები საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე რას ამბობდნენ?**

— ვერაფერს გეტყვით, ამ მხრივ არანაირი აჟიოტაჟი არ ყოფილა, ჩვენთან არავინ მოსულა და უკითხავს, რა ხდება თქვენს ქვეყანაშიო.

**— საქართველოს თასის მერვედფინალური მატჩი 1 სექტემბერს უნდა გეთამაშათ და ერთი დღით გვიან ჩატარდება. რატომ?**

— ფაქტობრივად, დასვენების საშუალება არ გვქონდა და პროფესიული ფეხბურთის ლიგამაც შეღავათი გაგვიწია.

**ნუკრი ლოლაძე**

ამ პრობლემებს მოგიხსნით
ტრიმოლი
ცხელება, შაკიკი, თავის ტკივილი, კბილის ტკივილი, სახსრების ტკივილი, მენსტრუალური ტკივილი, ნევრალგია, ცხელებით მიმდინარე ინფექციურ-ანთებითი დაავადებები.





➤ სისხლის დამწევი
➤ ტკივილგამაყუჩებელი
➤ ანთების საწინააღმდეგო

აჯანტა ფარმა ლიმიტედი – ინდოეთი
ტრიმოლი
PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი
რეგისტრაციის № R0003702
ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას



ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოულოდნელი პატარა სტუმარი მექსიკიდან

## ხათუნა ნარიმანიძემ დაიჯერა და ააცილა



ოლიმპიადა სულ სხვა სპეციფიკის ტურნირიაო, ბევრჯერ უთქვამთ თავად სპორტსმენებს და ამ ნათქვამის მართებულობა პეკინის ზაფხულის თამაშებმაც დაადასტურა. ქალ მშვილდოსანთა შეჯიბრებაში 70 მეტრზე საკვალიფიკაციო სროლების შემდეგ ქართველი ხათუნა ნარიმანიძეს მე-4 შედეგი ჰქონდა და ვინ იფიქრებდა, რომ მისი მჯობნი 15 წლის მექსიკელი მარიანა ავიტა გახდებოდა. მაგრამ ასეა, სპორტი ლოგიკისგან ხშირად შორსაა და ამიტომაც არის საინტერესო და ემოციური.
გუშინ ხათუნა ნარიმანიძეს ვესაუბრეთ და ოლიმპიადა შევაფასებინეთ...

— ოლიმპიადას კარგ ფორმაში შევხვდი. მანამდე ყველა ტურნირის მერე პროგრესი მქონდა და იმედიანად ვიყავი განწყობილი. საკვალიფიკაციოში ასეთ შედეგს ნაკლებად ველოდი. ისე მოხდა, რომ ევროპიდან საუკეთესო შედეგი ვაჩვენე და მხოლოდ ფავორიტ აზიელებს ჩამოვრჩი, მათგან მესამეადგილოსანს კი, მხოლოდ ერთი ქულით. საკვალიფიკაციოში კარგმა შედეგმა სუსტი ბადე მარგუნა და ოცდამეთორმეტე და მეთექვსმეტედფინალები უპრობლემოდ მოვიგე. მეტოქეებიც შედარებით სუსტი მყავდა. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ ძალიან ვნერვიულობდი. მართლა არ ვიცი, რა მომივიდა. ალბათ, მაინც ოლიმპიადის ბრალია, ამ ტურნირს სხვა დატვირთვა აქვს.

— საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმაც ხომ არ იმოქმედა თქვენზე?

— რა თქმა უნდა, ესეც დამატებითი ნერვიულობა იყო. როგორც მერე გამოჩნდა, ჩვენ ბევრ რამეს გვიმალავდნენ, გვეუბნებოდნენ, რომ საგანგაშო არაფერი ხდებოდა. სახლშიც რომ ვრეკავდით, იქიდანაც გვამშვიდებდნენ. საერთოდ კი, ძალიან იმოქმედა ამ ამბებმა. როგორ გინდა, ოლიმპიადაზე იფიქრო, როცა შენს ქვეყანაში ასეთი ცუდი ამბები ხდება.

როდესაც წამოსვლაზე იყო საუბარი, გული ძალიან მწყდებოდა. ოთხი წელი ოლიმპიადისთვის ემზადები და უცბად გეუბნებიან, რომ მიდიხარ. ისეთი მომენტი იყო, რომ დროშებიც კი ჩამოხსნეს და მერე, როცა გვითხრეს, ვრჩებითო, უნდა გენახათ, რა ბედნიერები ვიყავით.

— 14 წლის მექსიკელთან წაგება ყველასთვის მოულოდნელი იყო...

— მართლა მჯეროდა, რომ მომდევნო ეტაპზე გავიდოდი. სწორედ თავდაჯერებულობამ დამღუპა. ერთი წელიც არაა, ეს გოგო გამოჩნდა და საკვალიფიკაციოში მე-20 შედეგი ჰქონდა. ამიტომ სერიოზულ მოწინააღმდეგედ ვერ ჩავთვლიდი. შეჯიბრის დაწყებამდე სხვა სასროლეთზე ერთად ვვარჯიშობდით 20 წუთის განმავლობაში. საშინლად ცუდად ისროლა და ვიფიქრე, რომ უპრობლემოდ დავამარცხებდი. შეჯიბრზე კი თავი გაიგიჟა, ძალიან კარგად ისროლა. თან მეც ისე სტაბილურად ველარ ვისროლე და დავმარცხდი. გული დამწყდა, წაგებულებში საუკეთესო შედეგი მქონდა, მოგებულებიდანაც სამს ვაჯობე.

მერე იმ მექსიკელმა გოგონამ უშანსოდ წააგო, ისე გამოვიდა, რომ მხოლოდ ჩემთან ჰქონდა მაგარი შედეგი. რას იზამ, სპორტია და ყველაფერი ხდება.

— პეკინში წასვლამდე გვითხარით, რომ მეოთხედფინალს გეგმავდით...

— ასეც იქნებოდა, რომ არა ეს მარცხი და ეგებ მინიმუმ მე-5 ადგილზეც გავსულიყავი, მაგრამ ახლა უკვე გვიანია. დროა, ლონდონის ოლიმპიადაზე ვიფიქრო...

**ლექსო მაისურაძე**



# ჯაჭვური რეაქცია




**დღეს** 15 საათზე საქართველოში და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ათასობით ადამიანი ცოცხალ ჯაჭვს გააკეთებს და რუსი აგრესორების წინაალმდეგ პროტესტს ამ ფორმით გამოხატავს.

აქციაში მონაწილეობას ქართველი სპორტსმენებიც მიიღებენ და ცოცხალ ჯაჭვში სპორტის დეპარტამენტის მიმდებარე ტერიტორიასთან ჩაებმებიან. აქ იქნებიან ოლიმპიური ჩემპიონები, პეკინის ოლიმპიადის მონაწილენი, ყველა სპორტსმენი, ვისაც ჩვენი ქვეყნის გასაჭირზე გული შესტკივა.

აქციაში მონაწილე ადამიანის სურვილი და მიზანი ერთია: ხელები შორს ჩვენი ქვეყნისგან...

**ნიკა ძოპაძე**






# ამათ რა მოასვენებს

## ნორვეგიაში საქა-რთველო გეორ-გიას ჯობია

**პეკინის** ოლიმპიადის დასრულების შემდეგ ათასობით სპორტსმენი თუ დასვენებაზე ფიქრობს და დროსაც საკუთარი სურვილის მიხედვით კლავს. აგერ, პლაჟბურთელები მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპს თამაშობენ.

ნორვეგიის ქალაქ კრისტიანსანდში საქართველო მე-4 ნომრად იყო განთესილი და პირველ წრეში მასპინძლებს მირისა-აასენის წყვილს 2:0 მოუგო (21:13, 21:16), მერე კი ჩეხებს კლაპკალოვა-პეტროვასაც არაფერი დააკლო და 2:1 იმარჯვა (18:21, 21:18, 15:8).

ამას საქა-რთველომ წაგება მიაყოლა ავსტრიელ დებთან, შვიგერებთან, 0:2 (17:21, 16:21), მაგრამ, ერთი წაგების უფლება ჰქონდა და თამაში განაგრძო, რომელშიც მათი მეტოქე ჰოლადიელები ვან იერსელი და ვესელინკი იყვნენ. ჩვენებმა 2:1 აჯობეს ჰოლანდიელებს, მერე კი (14:21, 21:15, 15:13) ფინელ ქალბატონებსაც შავი დღე აყარეს: დებ ნისტრომებს 2:0 მოუგეს (21:17, 23:21) და მეოთხედფინალს უწიეს. იქ კი ვერაფერი მოუხერხეს თანამემამულე ლარისა და კასოლს 0:2 (17:21, 11:21).

საბოლოოდ კრისტიან და ანდრეზა მე-5 ადგილზე გავიდნენ, 360 სარეიტინგო ქულა მიიღეს და 8 500 დოლარიც ჩაიჯიბეს.

გეორ-გიამ კი, ვინც ამავე ტურნირზე მე-2 ნომრად იყო განთესილი, საწყის წრეშივე მარცხი განიცადა იტალიელ ძმებ ინგროსოებთან 1:2 (18:21, 21:14, 12:15).

მერე კი ჩეხ ტიჩისა და ბენეშის დუეტს მოუგო 2:0 (21:14, 22:20), თუმც მერე რენატო და ჟორჟი პოლონელ ფიალეკსა და პრუდელთან დამარცხდნენ და ტურნირს გამოეთიშნენ.

**ნიკა ძოპაძე**



# ჩვენი კუმიტე თეირანში



**20-22 აგვისტოს** თეირანში გაიმართა A კლასის საერთაშორისო ტურნირი, WKF-ის (მსოფლიოს კარატეს ფედერაცია) ეგიდით სპორტულ კარატეში, რომელიც ოლიმპიურ სახეობებში მოხვედრის რეალური კანდიდატია. ირანში გამართულ ტურნირზე კი 21 ქვეყნის გუნდთან ერთად საქართველოს ნაკრებიც გამოდიოდა. ტურნირზე, კარატეში ისეთი მდიდარი ტრადიციების მქონე ქვეყნები მონაწილეობდნენ, როგორებიცაა იაპონია, საფრანგეთი, თურქეთი, ჰოლანდია, კუვეიტი და პორტუგალია. ქართულმა გუნდმა ტურნირზე გუნდურ კუმიტეს აბსოლუტურ კატეგორიაში მე-3 ადგილი დაიკავა. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში გოგიტა არქანია, დავით პატარიძე, კახა ენუქაშვილი, გიორგი კარანაძე და ჭაბუკა მახარაძე ირიცხებოდნენ.

ჩვენებმა მე-3 ადგილისთვის ბრძოლაში კუვეიტის გუნდი დაამარცხეს. აღსანიშნავია, ისიც, რომ საქართველოს ნაკრები ქვეყანაში საომარი მოქმედებების გამო არასრული შემადგენლობით გაემგზავრა თეირანში. ინდივიდუალურ კუმიტეში კი 18 წლის დავით პატარიძემ ევროპის მოქმედი თურქი ჩემპიონი დაამარცხა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**ზურაბ მიგრიაული**

# ავსტრიული დეჟა ვუ
## ჩვენები ევროპას ვენიდან იწყებენ

**ავსტრია 77:74 საქართველო**
**21:17 25:20 13:12 18:25**

**ავსტრია:** შრაინერი (16), მეიერსი (12), შპაისერი (12), მაიერი (9), პოიგერი (7), დანეკი (7), ჰუტერი (4), იანდლი (4), ნაგლერი (4), კიუგერლი

**საქართველო:** ცინცაძე (27 წუთი, 9 ქულა, 3 პასი, 3 მოხსნა, 4 დაკარგვა), ა. ბოისა (12 წუთი, 3 ქულა, 3 მოხსნა), სანიკიძე (23 წუთი, 1 ქულა, 9 მოხსნა), ცქიტიშვილი (26წთ, 18 ქ. 8მ), ფაჩულია (25 წთი, 20 ქულა, 5 მოხსნა)

*სათადარიგონი:* გამყრელიძე (30 წუთი, 7 ქულა, 5 პასი, 4 მოხსნა), ვ. ბოისა (23 წუთი, 5 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი), შერმადინი (5 წუთი, 2 ქულა), ტუღუში (13 წუთი, 3 ქულა), შენგელია (16 წუთი, 6 ქულა, 4 მოხსნა)

| | | |
|---|---|---|
| 20 | მოხსნები | 41 |
| 16 | პასები | 12 |
| 8 | ჩაჭრები | 3 |
| 4 | დაკარგვები | 11 |
| 22 | ჯარიმები | 14 |
| 36/22 | ორქულიანები | 42/22 |
| 23/6 | სამქულიანები | 19/6 |
| 19/15 | საჯარიმოები | 18/12 |

**საქართველოს** ეროვნულმა ნაკრებმა ევროსაკვალიფიკაციო ტურნირისთვის მოსამზადებელი მატჩები დაასრულა. იგორ კოკოშკოვის გუნდი გუშინ ავსტრიის ქალაქ ბადენში მასპინძელთა ეროვნულ ნაკრებს შეხვდა და წინა დღის მსგავსად, ბოლო წამებზე დამარცხდა.

ეს შეხვედრა თამაშის სცენარით ხომ გავდა წინამორბედს და ანგარიშიც თითქმის იგივე დაფიქსირდა. 29 აგვისტოს ქართველებმა 74:76 წააგეს ავსტრიასთან, ხოლო გუშინდელი შეხვედრა 74:77 დათმეს. ისევ არ ითამაშა ჩვენი ნაკრების ნატურალიზებულმა ამერიკელმა უკანახაზელმა, ტაირონ ელისმა, რომელსაც მუხლი ოდნავ აწუხებს და გართულებების თავიდან ასაცილებლად მწვრთნელებმა ის დაასვენეს. ელისი ფიზიო-თერაპიის იტარებს და ოფიციალურ მატჩებს სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

ქართველებმა ბოლო მოსამზადებელი შეხვედრა ავსტრიელებთან სათანადო დონეზე ვერ ჩაატარეს. მთელი თამაში მასპინძლები ლიდერობდნენ, თუმცა ბოლოში კოკოშკოვის შეგირდებმა გათანაბრება მოახერხეს. საფინალო სირენამდე ორიოდ წუთით ადრე ანგარიში 70:70 იყო და ავსტრიელებმა მნიშვნელოვანი სამქულიანი ჩააგდეს.

ქართველებმა ორქულიანით უპასუხეს, ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს და საპასუხო შეტევაზე წამოსულ ავსტრიელებზე დაჯარიმდნენ. მასპინძლებმა ზუსტად შეასრულეს საჯარიმო სროლები და 75:72 დაწინაურდნენ. ჩვენებმა ისევ ორქულიანის მითვლა მოახერხეს და მეტოქეზე ტაქტიკურად დაჯარიმდნენ.

ჩვენდა სამწუხაროდ, მასპინძლებმა ისევ მოახერხეს ორივეს ჩაგდება და 3 ქულით ჩამორჩენილ ქართველებს თამაშის გადასარჩენად რამდენიმე წამი დარჩათ, მაგრამ შორიდან ველარ ჩააგდეს...

მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრები ვენიდან საათის სავალზე მდებარე პატარა ქალაქ შტაინბრუნში ჩავიდა და იქაურ სპორტულ კომპლექსში დაბანაკდა. როგორ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი მერაბ რატიშვილი გვატყობინებს, შტაინბრუნში ჩვენს ნაკრებს სავარჯიშოდ იდეალური პირობები აქვს შექმნილი. ესაა ავსტრიაში ცნობილი და ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული კომპლექსი, რომელსაც ხშირად სტუმრობს ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები.

იგორ კოკოშკოვის გუნდი შტაინბრუნში 5 სექტემბრამდე დარჩება და მერე ლუქსემბურგში გადავა, სადაც, მეორე დღეს ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან პირველ ევროსაკვალიფიკაციო შეხვედრას გამართავს.

**რამაზ ყაველაშვილი**




ზაზა ფაჩულია



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სპორტის დეპარტამენტის პრეს-ცენტრის ხელძღვანელი **გიორგი ჭანიშვილი** პეკინის ოლიმპიადაზე საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის პრესატაშე იყო. ალბათ, ყველასთვის საინტერესო იქნება იმ ავბედითის დღეები პერიპეტიები, რომლებიც სამშობლოში ომის გამო ჩინეთში ქართულ დელეგაციას გადახდა. ჭანიშვილმა იმ დღეების ოლიმპიური სოფლის შიდა სამზარეულოში ჩაგვახედა...



გიორგი ჭანიშვილი უცხოელი კოლეგების ალყაში

# დიდი ჩინური კედლის იქით
## პეკინში კინაღამ დაპატიმრებული საქართველო

— ოლიმპიადის გახსნამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი, როცა ქართულ-რუსული კონფლიქტის შესახებ გავიგეთ. ყველას იმედი გვქონდა, რომ საქართველოში სიტუაცია არ დაიძაბებოდა და ამ, თურმე ცრუ იმედის გამო ყველა კარგ ხასიათზე ვიყავით. ქართული დელეგაცია სპორტულ რეჟიმში მუშაობას აგრძელებდა. ნელ-ნელა გვიერთდებოდნენ ჩვენი სპორტსმენები. მოკლედ, ყველაფერი გეგმაზომიერად მიმდინარეობდა. ზოგიერთმა მწვრთნელმა გადაწყვიტა, რომ სოფელში დაესვენებინათ და ოლიმპიადის გახსნაზე არ წაეყვანათ ის სპორტსმენები, რომელთაც შეჯიბრი პირველ დღეებში უწევდათ.

**— ვიცით, რომ საქართველოს დელეგაციაზე ძალიან ცუდად იმოქმედა ცხინვალის ამბებმა...**

— გახსნამ ჩვენთვის ასე თუ ისე მშვიდ გარემოში ჩაიარა. დაწვრილებითი ინფორმაცია მოგვდიოდა, თუმც სიმშვიდეს ვინარჩუნებდით. მაგრამ გათენდა 9 აგვისტო და შევიტყვეთ ქართული სოფლების და ქალაქების დაბომბვის შესახებ. ქართულ დელეგაციას თითქოს ძალა გამოეცალა. ყველა დაზაფრული იყო. სპორტსმენებს ვარჯიში აღარ უნდოდათ, ჟურნალისტებს კი მუშაობა. ძალიან ცუდ დღეში ჩავვარდით. ინერციით დავდიოდით დარბაზიდან დარბაზში. ოლიმპიადის პირველ დღეს ნესტორ ხერგიანი ჭიდაობდა. იგი სანამ ტატამზე გავიდოდა, ამბობდა, რომ საერთოდ არ იყო კონცენტრირებული და სამშობლოში დატოვებულ ოჯახის წევრებსა და ახლობლებზე ფიქრობდა...

**— ქართულმა დელეგაციამ ოლიმპიადაზე პროტესტი გამოთქვა რუსული აგრესიის წინააღმდეგ. როგორი იყო პირველი ნაბიჯები?**

— 9 აგვისტოს გადავწყვიტეთ, მთავარ პრესცენტრში პრესკონფერენცია მოგვეწყო. განცხადება შევიტანეთ და ნებართვაც მივიღეთ, მაგრამ სულ ბოლოს რომ ვუთხარით, პრესკონფერენციაზე პოლიტიკური განცხადების გაკეთებას ვაპირებდით, აი აქ შეგხვდა დიდი წინააღმდეგობა. მოცდა გვთხოვეს და ჩვენი თხოვნა უფროსებს გადასცეს. სულ რაღაც ერთ საათში ჟაკ როგის მოადგილე გამოეხმაურა კომუნიკაციების დარგში და აგვიხსნა, რომ „პოლიტიკური“ პრესკონფერენციის გამართვის ნებართვა სულ უმაღლეს, ჟაკ როგის დონეზე იყო შესათანხმებელი. საბოლოოდ უარი მივიღეთ. მხოლოდ იმის ნება დაგვრთეს, რომ პრეს-რელიზი მოგვემზადებინა და მასმედიაში გაგვევრცელებინა. ინგლისურ ენაზე მომზადებული პრეს-რელიზი ხელით დავურიგეთ სხვადასხვა ჟურნალ- გაზეთებს და ტელევიზიებს. ამან მყისიერი რეაქცია გამოიწვია. ყველა ჩვენს მიმართ სოლიდარობას გამოხატავდა. ჟურნალისტები აშკარად შეშფოთებულები იყვნენ რუსული აგრესიის გამო. აქედან მოყოლებული, ქართულ დელეგაციას ყურადღება არ მოჰკლებია. რეკავდნენ მთელი მსოფლიოს მასმედიის წარმომადგენლები. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ამერიკელი, იტალიელი, ბრიტანელი, გერმანელი, ბრაზილიელი, ჩინელი, უკრაინელი ჟურნალისტები...

9 აგვისტოს ჩვენს დელეგაციაში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. შევიტყვეთ, რომ საქართველოს ნაკრები სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო. ინდივიდუალურად ეს ამბავი ყველამ თავისებურად აღიქვა, მაგრამ მთლიანად გუნდი ერთსულოვანი იყო და გადაწყდა, რომ საქარვთელოში უნდა დავბრუნებულიყავით. ეს ყველაფერი ხდებოდა ღამის პირველ საათზე. ჩვენი წამოსვლის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის საშუალებით უკვე უნდა გვეცნობებინა საზოგადოებისთვის, რომ ამ დროს საქართველოს პრეზიდენტმა დაგვირეკა და ოლიმპიადაზე დარჩენა გვთხოვა, რათა ქვეყნის ინტერესები სპორტულ სარბიელზე დაგვეცვა. ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი მეორე დღეს ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელებს ნეხვდა, მოგვიანებით კი ქვეყნის პრეზიდენტს დამლობის წერილი გამოუგზავნა.

დარჩენით კი დავრჩით, მაგრამ ამ გაუგებრობამ დიდი კვალი დაატყო იმ ქართველ სპორტსმენებს, რომელნიც 10 აგვისტოს გამოდიოდნენ. ერთი კი იყო, რომ ჩვენს მიმართ ყურადღება გაათმაგდა. სადაც კი ქართველ სპორტსმენს ან ჟურნალისტს დაინახავდნენ, იქვე ცოცხალ წრეში აქცევდნენ და უამრავ კითხვას აყრიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა, მკაცრი სანქციები მოჰყოლოდა, ქართულმა დელეგაციამ მაინც გადაწყვიტა ოლიმპიური სოფლის შესასვლელთან საპროტესტო აქციის მოწყობა. წვიმიან ღამეს სოფლის შესასვლელთან სანთლებით SOS გამოვსახეთ. ამას მოჰყვა საპროტესტო აქცია ჩინეთში რუსეთის საელჩოს წინ. ჯერ მარტონი ვიყავით, შემდეგ წინ უტყვი ჯარისკაცები ჩაგვიყენეს, ბოლოს კი აქციიდან რომ დავიშალეთ და საელჩოს ოდნავ გამოვერიდეთ, პოლიციის ალყაში აღმოვჩნდით. ისინი ჯიუტად ცდილობდნენ ჩვენი ვინაობის დადგენას, მაგრამ აკრედიტაციები საგულდაგულოდ გადავმალეთ და ვერაფერი გაიგეს. პოლიციელებმა ჩვენი დაპატიმრებაც სცადეს, მაგრამ საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები ჩაერივნენ საქმეში და გაგვარიდეს უსიამოვნებებს.

შეიძლება ითქვას, რომ 13 აგვისტო გარდამტეხი დღე იყო. ჩვენი პლაჟის ფრენბურთელი ქალები რუსებს ხვდებოდნენ და შეიძლება ითქვას, ეს იყო ყველაზე ხმაურიანი მატჩი პლაჟის ფრენბურთში. ჩვენს გოგონებს არნახული მხარდაჭერა ჰქონდათ და საბოლოოდ მათ გაიმარჯვეს კიდეც.

**— რას იტყვი გოგშელიძისა და მინდორაშვილის ჭიდაობაზე. გოგშელიძეს ხომ სულ ცოტა დააკლდა ფინალამდე...**

— 21 აგვისტო იყო ბოლო იმედი, რომ საქართველოს კიდევ მოეპოვებინა მედლები. მთელი დელეგაციის ყურადღება გოგშელიძე-მინდორაშვილისადმი იყო მიპყრობილი. ჩინელი ვოლონტიორებიც კი გამოგვყვნენ სოფლიდან მათ საგულშემატკივროდ. მინდორაშვილი-კეტოევის შეხვედრას რუსეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სერგეი ივანოვი და ალექსანდრე კარელინიც კი ესწრებოდნენ. როგორც დამთავრდა ჭიდაობა, ალბათ ყველამ ნახეთ. გოგშელიძე კი ნახევარფინალში წარბშეხვეული გამოვიდა. მისი მოწინააღმდეგე განზრახ ნატკენ ადგილში მტკივ

ნეულად აჭერდა ხელს და ამიტომ იყო, რომ მოხდა ის, რომ გიორგიმ თავი ვერ შეიკავა და მეტოქეს მამაპაპურად უთავაზა.

**—დაბოლოს, მინდა, გკითხო, რა შთაბეჭდილება მოადინა ზოგადად შენზე განვლილმა ოლიმპიადამ?**

— ემოციურად გადატვირთული და დაუვიწყარი კვირეები გავატარე. იყო საშინელი გულისტკივილი ომის გამო და იყო ენითაუწერელი სიხარული, რომელიც ჩვენმა ჩემპიონებმა მოგვანიჭეს.

**ზურაბ მიგრიაული**



ბლანკა ვლასიჩი ოლიმპიადაზე მარცხის სიმწარეს სხვა ტურნირთა მოგებით იქარვებს

# ნაპეკინევი განცდები

**პეკინის** ოლიმპიადა ჩავლილი ისტორიაა. ბევრისთვის ის ტკბილია, მაგრამ ვისთვისაც მწარეა, ისინი ორმაგად ცდილობენ მის დავიწყებას და მომავლის „ცხოვრების“ აწყობას.

მძლეოსანთაგან არაერთს შეხვდა პეკინში იმედგაცრუება — ბლანკა ვლასიჩი, ჯერემი უორინერი, ლოლო ჯონსი... ესენი ყველანი საუკეთესოები არიან თავიანთ სახეობებში, მაგრამ ფეხი წაუცდათ და ოქროს მედალი მეტოქეებს შეატოვეს, ახლა კი არაოლიმპიურ სარბიელზე ცდილობდნენ თავისი პირველობის დამტკიცებას.

29 აგვისტოს წლევანდელი ლიგის რიგით მეოთხე ეტაპი გაიმართა შვეიცარიის უდიდეს ქალაქ ციურიხში და სამივე ზემოხსენებულმა კარსკვლავმა შვეიცარიის გრილ მიწაზე გამარჯვებით სცადა ჩინური უიღბლობის კომპენსირება — სამივემ გაიმარჯვა.

„კარგი თერაპია იყო. აუცილებელია, საკუთარ შეცდომებზე ვისწავლოთ და ყოველთვის ჩვენი ვცადოთ. ძნელია, შენს გარშემო წარმოქმნილ ყველა ეჭვს ხაზი გადაუსვა და დაამტკიცო, რომ საუკეთესო ხარ, მაგრამ უნდა სცადო და აქ მაინც გამოაჩინო, რომ რამედ ღირხარ. ცხოვრება გრძელდება, ახალ დღეს ახლებურად უნდა შეხვდე“ — აი, ასეთი საბრძოლო ფილოსოფიის მძლავრი ნაზავით ტვინგაჯერებული გავიდა სარბიელზე ამერიკელი თარჯმორბენალი ქალი ლოლო ჯონსი და გამოვიდა კიდეც.

ჯონსი 100 მეტრზე ქალთა თარჯრბენში პეკინში ჩემპიონი უნდა გამხდარიყო და ფინალში ლიდერობდა, მაგრამ ბოლოსწინა თარჯს გამოედო, ფეხი აერია და რვა გოგონაში მხოლოდ მეშვიდემ გადაკვეთა ფინიში. ციურიხში კი მან სიტყვებს საქმე მოაყოლა და ოლიმპიური მარცხის სიმწარე ოქროს ლიგაზე გამარჯვებით გაანელა. მან 12,56 წამში გაირბინა დისტანცია და დამაჯერებლად იმარჯვა, ხოლო პეკინში „მის მაგივრად“ გაჩემპიონებული დაუნ ჰარპერი 12,73 შედეგით მხოლოდ მეექვსე (!) იყო. რალა ბევრი სალაპარაკოა, რომ წინა ტურნირზე გამარჯვება სპორტსმენს შემდეგში გამარჯვებებში ხელს უშლის და პირიქით, დამარცხება მომავლისთვის საბრძოლველად განაწყობს.

ზუსტად ჯონსის დღეში იყო ხორვატი სიმაღლეზე მხტომელი ბლანკა ვლასიჩიც, რომელსაც ოლიმპიადამდე 34 ტურნირი წაუგებლად გაევლო და თავის დისციპლინაში სუპერფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ პეკინში მანაც წააგო. ციურიხში ვლასიჩი ისევ საუკეთესო იყო, თუმცალა თავის გამოდება არ დასჭირვებია, 201 მეტრითაც მოიგო. ამ სახეობაშიც ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩნდა ოლიმპიური ჩემპიონი — ვლასიჩის ბელგიელმა მძლეველმა ტია ელებუმ პირდაპირ სასაცილო სიმაღლეზე, 1,90 მეტრზე შეწყვიტა ბრძოლა და მარცხი აღიარა. მასაც გაუჭირდა ოლიმპიადის შემდეგ ამ ტურნირზე გონის და ღონის მოკრეფა. არადა, პეკინში ვლასიჩიც და ელებუც 2,05 მეტს გადაევლნენ და ბელგიელი მხოლოდ იმიტომ გახდა ჩემპიონი, რომ გაუმართლა და პირველივე ცდაზე დაძლია სიმაღლე.

ვლასიჩის ნაუბარიც დიდად ჰგავდა ჯონსისას, ოღონდ არც ისე სიტყვაუხვი იყო — დღეს შედეგი არ იყო მთავარი, მხოლოდ გამარჯვებას ჰონდა ღირებულება და კმაყოფილი ვარ, რომ მიზანს თუნდაც ასეთი დაბალი შედეგითაც იოლად მივაღწიეო.

რა გასაკვირია და, ვლასიჩისა და ჯონსის დარად ჯერემი უორინერმაც მოიგო, ხოლო ოლიმპიადაზე მისი მძლეველი ლაშონ მერიტი ციურიხში ჩაფლავდა, პეკინის სხვა ოქროს მედალოსანთა დარად. უორინერმა 43,62 წამში, ანუ საკმაოდ კარგი შედეგით მოიგო. ასე რომ ერბინა, პეკინშიც აჯობებდა მერიტს, რომელიც ციურიხში ვალის მოსახდელად ირჯებოდა და უბადრუკი 44,43 შედეგით შემოურბინა წრეს. რაა აქ სათქმელი — ეს ჯეელიც ბოლომდე ტკბება ოლიმპიური გამარჯვებით და „სარეკლამოდ“ ჩნდება სარბენ ბილიკზე, ოღონდ ასეთი გამოსვლა ანტირეკლამას უფრო გავს.

მაგრამ დროებით დავივიწყოთ ოლიმპიადაც, მისი გამარჯვებულებიც და დამარცხებულებიც. ოქროს ლიგა გრძელდება და იქ ოთხი ეტაპის შემდეგ მილიონის ღირებულების ოქროს ჯეკ-პოტს ორად ორი მოცილე ჰყავს — ერთი ბლანკა ვლასიჩია (ვინც ოთხივე ეტაპი რიხინ-რიხინით მოიგო), მეორე კი კუდრაჭა კენიელი გოგონა პამელა ჯელიმო გახლავთ, რომელიც 800 მეტრზე უფრო იოლად იგებს დიდრონ ტურნირებს (პეკინშიც ოქრო ირგუნა), ვიდრე ამ დისტანციის მოზამბიკელი ლეგენდა მარია მუტოლა იგებდა 20-წლამდელ ასაკში. 18 წლის ჯელიმო კვლავ 1:55 დროში ჩაეტია და მეტოქეები უშანსოდ ჩამოიტოვა.

ციურხიში გახლდათ მისი უდიდებულესობა, მსოფლიო მძლეოსნობის პრინცი უსაინ ბოლტიც (პრინცი იმიტომ, რომ ჯერ მხოლოდ 22 წლისაა). მან შვეიცარიაში 100 მეტრზე გარბენა იკადრა და შესანიშნავი შედეგით, 9,83 წამში მოიგო, ოღონდ თავადაც ხომ უწყოდა, რომ ბევრად სწრაფად სირბილი ფეხეწიფება და ოლიმპიური ზეიმობანა არ გაუმართავს, მეფური სიდიადით მიიღო გამარჯვებულის კუთვნილი პატივი, ეგაა, რომ ბოლო მეტრებზე სიჩქარე დააგდო და ჩვეულადაც წაუტუტუცა.

კვლავ მძლავრად გამოვიდა ნორვეგიელი შუბმტყორცნი ანდრეს ტორკილდსენი, ვინაც ისევე როგორც პეკინში შუბი 90 მეტრს გადააცილა და 90,28 მეტრზე ჩაასო. ხოლო 110 მეტრზე კაცთა თარჯრბენალმა კუბელმა დეირონ რობლესმა დისტანცია 12,97 წამში დაფარა და 0,01 წამით აჯობა მეორეადგილოსან დევიდ ოლივერს.

**ირაკლი ფირაშვილი**



la vuelta'08 63 edición vuelta a españa 63-ე ლა ვუელტა ესპანა. 30 აგვისტო-21 სექტემბერი



ფილიპო პოცატოს ლიდერობა ერთდღიანი აღმოჩნდა

# პირველი ეტაპის ვალვერდე

**სეზონის** მესამე და ბოლო სუპერრბოლა, რიგით 63-ე „ლა ვუელტა ესპანა“ შაბათს გრანადაში გამართული 7,7-კილომეტრიანი გუნდური რბოლით დაიწყო. ეტაპი იტალიური „ლიქუიგასის“ მრბოლებმა მოიგეს, რომლებმაც აღნიშნული დისტანცია 8 წუთსა და 21 წამში დაფარეს.

გამარჯვებულებს, შესაბამისად 8 და 9 წამით ჩამორჩნენ ესპანური გუნდები, ბასკური „ეუსკალტელი“ და „კაის დეპარნი“, რომლის ლიდერიც ასევე ბასკი ალეხანდრო ვალვერდე გახლავთ. კიდევ თითო-თითო წამის ჩამორჩენით მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ადგილებზე ბელგიური „ქვიკ სტეპი“, დანიური CSC და რუსული „ტინკოფი“ განლაგდნენ.

გუნდური რბოლის შემდეგ ლიდერის ოქროსფერ მაისურაზე ლაპარაკი სიმბოლურია, მაგრამ მაინც — ეს მაისურა „ლიქუიგასის“ იმ წევრს ერგო, რომელმაც თანაგუნდელებზე წამის მეასედებით ადრე გადაკვეთა ფინიშის ხაზი. კერძოდ კი ლაპარაკია იტალიელ ფილიპო პოცატოზე.

პოცატოს ლიდერობა რომ სიმბოლური იყო, გუშინდელი, მეორე ეტაპის შემდეგ ნათლად გამოჩნდა. გუშინ პელოტონმა გრენადადან ხაენამდე 167,3 კილომეტრი გაიარა. რაიმე განსაკუთრებული წინაღობა ამ გზაზე არ იყო და როგორც მოსალოდნელი იყო, ხაენის ქუჩებში მრბოლები ჯგროდ შეიჭრნენ.

ჯგროდ შეიჭრნენ, ეტაპი ვალვერდემ მოიგო და ოქროსფერი მაისურაც მოირგო. პოცატო მეხუთე იყო და საერთო ჩათვლაში ახლა, უკვე მეორეა.

ვალვერდეს რაც შეეხება, შეგახსენებთ, რომ მან წლევანდელ ტურზეც მოიგო პირველი ეტაპი და ლიდერის ყვითელი მაისურა მაშინაც მოირგო. შემდეგ ალეხანდროს საქმეები უკან-უკან წავიდა. რა იქნება ახლა, ძნელი სათქმელია. ფაქტი ერთია — ვალვერდემ „ვუელტას“ პირველ რეალურ ეტაპზეც იმარჯვა და ყველას მაღლიდან გადმოხედა. როგორ განვითარდება მოვლენები ძნელი სათქმელია, მაგრამ გვსურს იმედი ვიქონიოთ, რომ უნიჭიერესი ესპანელი ბოლომდე შეძლებს თავის გატანას და პირველობისთვის იბრძოლებს.

**I ეტაპი. გრანადა (გუნდური რბოლა). 7,7 კმ**

| | |
|---|---|
| 1. „ლიქუიგასი“ (იტალია) | 8 წთ 21 წმ |
| 2. „ეუსკალტელი“ (ესპანეთი) | +8წმ |
| 3. „კაის დეპარნი“(ესპანეთი) | +9 |
| 4. „ქვიკ სტეპი“ (ბელგია) | +10 |
| 5. CSC (დანია) | +11 |

**II ეტაპი. გრანადა-ხაენი. 167,3 კმ**

| | |
|---|---|
| 1. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი“) | 41 სთ 23 წთ 00 წმ |
| 2. დავიდ რებელინი (იტალია, „გეროლშტაინერი“) | +2წმ |
| 3. ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე“) | |
| 4. გრეგ ვან ავერმეტი (ბელგია, „ლოტო“) | |
| 5. ფილიპო პოცატო (იტალია, „ლიქუიგასი“) | ყველას იგივე ჩამორჩენა |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი“) | 41 წთ 31 წთ 10 წმ |
| 2. ფილიპო პოცატო (იტალია, „ლიქუიგასი“) | +13 წმ |
| 3. დანიელე ბენატი (იტალია, „ლიქუიგასი“) | +13 |
| 4. ეგოი მარტინესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი“) | +15 |
| 5. ინიგო ლანდალუზი (ესპანეთი, „ეუსკალტელი“) | +19 |

US OPEN 2008. ჰარდი. 25 აგვისტო-7 სექტემბერი. საპრიზო 15 900 000 დოლარი

# სიზმრის ფერები: ნიშიკორი და ფერერი



კეი ნიშიკორი

**საწყისი** წყნარი დღეების შემდეგ აშშ-ის ღია პირველობაზე სენსაციათა ნიაღვარი წამოვიდა, რის გამოც ყველაფრისადმი თვალის მიდევნება სულ უფრო ძნელი ხდება. თუმც შეძლებისდაგვარად შევეცდებით ყველაფერს შევეხოთ.

უპირველესად ანა ივანოვიჩის წაგება უნდა ვახსენოთ — ეს უკვე რამდენიმე დღის ამბავია, მაგრამ არაფერი გვითქვამს და ამიტომ ერთი-ორი სიტყვით აუცილებლად უნდა შევეხოთ. სერბმა ლამაზმანმა მეორე წრის შეხვედრაში წააგო სრულიად უცნობ ფრანგ ჯული კოინთან, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძალიან შორსაა სათამაშო ფორმისგან. თუმც რა ფორმაზეა ლაპარაკი, როცა ანას თითქმის მთელი ზაფხულის განმავლობაში არ უთამაშია — ტრავმები ჰქონდა და ამ საბაბით ბებერი კონტინენტის თითქმის არც ერთი პლაჟი არ გამოუტოვია, რის გამოც ვარჯიშიც კი დაივიწყა.

ივანოვიჩის დღევანდელ მდგომარეობაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ისიც, რომ კოინმა შემდეგი მატჩში პირწმინდად წააგო ამელი მორესმოსთან. ჩვენ კი კარგად მოგვეხსენება, რომ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ვერც მორესმო დაიკვეხნის, საუკეთესო ფორმაში ვარო.

ახლა კი მოდით კი ბოლო ორ დღეს განვითარებულ მოვლენებს მივუბრუნდეთ, მით უმეტეს რომ მოსაყოლი მართლაც ბლომად არის.

კაცებით დავიწყებთ და მოგახსენებთ, რომ დიდი სამეული უდანაკარგოდ და რაც მთავარია, გრიალით მიიწევს წინ. სიმართლე ითქვას, სულ უფრო ჭირს იმის წარმოდგენა, რომ ვინმე შეძლებს მათ გაჩერებას. რაფალ ნადალი, როჯერ ფედერერი და ნოვაკ ჯოკოვიჩი ყველა დანარჩენზე აშკარად ერთი თავით მაღლა დგანან. ჯერჯერობით ამათგან მხოლოდ სერბს შეექმნა მცირე პრობლემები, ისიც არასაჩოგბურთო ხასიათისა იყო — ორ ჩატარებულ მატჩში ბალკანელი ამდენჯერვე გადაურჩა სერიოზულ ტრავმას, რადგანაც ორჯერ ფეხი ამოუბრუნდა. თუმც ნოვაკი იღბალმა არ გაწირა და ისიც ახლა მარიჩ ჩილიჩთან შიდაბალკანური გარჩევისთვის ემზადება.

აი, ნადალი კი უკვე მეოთხე წრეშია. ესპანურ ლოკომიტივს გუშინ ვიქტორ ტროიცკი გადაუდგა და ისევე მიისრისა, როგორც ბევრი სხვა. რაფამ ცოტა მძიმედ დაიწყო და ამიტომ პირველ სეტში თითქოს თანაბარი ბრძოლა იყო, მაგრამ მალიორკელმა სათამაშო ტონუსი რომ იპოვა, მას შემდეგ კორტზე რეალურად მხოლოდ ერთი ჩოგბურთელი იდგა, ტროიცკი კი ფაქტობრივად სპარინ-პარტნიორის მოვალეობას ასრულებდა.

დანარჩენ მატჩებში კი ისე წავიდა ყველაფერი, რომ ნადალს ფაქტობრივად გაუთავისუფლდა ფინალამდე მისასვლელი გზა. სათამაშო ბადის ზედა ნახევარში ისედაც ცოტა იყო მაღალი დონის მეჩოგნეები, ხოლო დავიდ ფერერის, დავიდ ნალბანდიანისა და განსაკუთრებით ჯეიმს ბლეიკის წაგების შემდეგ კი ესპანელის რეალურ მეტოქედ მხოლოდ ენდი მიურეიღა დარჩა.

ისე, წესით და რიგით გუშინ ეს ბრიტანელიც უნდა აბარგებულიყო ნიუ იორკიდან, რადგანაც იურგენ მელცერმა თავიდან ბავშვივით დაიბრიყვა ენდი-ბიჭი. მაგრამ მან წმინდა შოტლანდიური სიჯიუტე გამოავლინა და ლამის წაგებული მატჩი შემოუტრიალა ნაადრევად გახარებულ ავსტრიელს — მიურეიმ ორსეტიანი ჩამნორჩენის მიუხედავად მაინც შეძლო გამარჯვება.

„როცა წელიწადში 365 დღე კორტზე საათობით ვარჯიშობ, ხანდახან საკუთარ თავს ეკითხები, ღირს კი ამდენად წვალებათ-თქო. ასეთი მატჩების შემდეგ კი ნამდვილად შეიძლება იმის თქმა, რომ ღირს“ — ამბობდა ნამატჩევს მიურეი.

ისევ სენსაციებს მივუბრუნდეთ და ბლეიკით დავიწყოთ. პეკინში ნაჩვენები შთამბეჭდავი ჩოგბურთის შემდეგ ამ შავი ბიჭისგან „ფლეშინგ მედოუზზეც“ იგივეს ელოდნენ. მაგრამ ჯეიმსმა მეოთხე წრემდე მისვლაც ვერ მოახერხა. თან ვისგან მიიჩოგნა — მისი უახლოესი მეგობარ მარდი ფიშისგან. მეტსაც გეტყვით, ერთ თვეში ფიშის ქორწილში ბლეიკი მეჯვარე უნდა იყოს. ჰოდა, ალბათ ყველაფერი ამის ბრალია — ეტყობა, ბლეიკმა ნაადრევი საქორწილო საჩუქარი გაუკეთა მეგობარს, თორემ სხვანაირად ძნელი ასახსნელია ფიშთან ზედიზედ სამი სეტი როგორ წააგო.

ნალბანდიანის წერად კი გაელ მონფილზი იქცა. საოცარი ფიზიკური მონაცემების მქონე ფრანგი გუშინ ქარივით დაქროდა კორტზე და არგენტინელის ყველაზე ძლიერ და ზუსტ დარტყმულებსაც ეწეოდა. დავიდმაც მალე ხელი ჩაიქნია და თეთრი დროშა გამოფინა.

აი, ფერერმა სულაც „გმირობა“ ჩაიდინა და კეი ნიშიკორისთან წააგო. არადა, ეს იაპონელი მხოლოდ წლეულს გამოჩნდა დიდ კორტებზე და მანამდე მის შესახებ ცოტამ თუ იცოდა. თუმც ამან აზიელს ხელი ვერ შეუშალა მორიგი სენსაციის ჩადენაში — სხვათა შორის, ის პირველი იაპონელია, ვინც აშშ-ს ღია პირვლეობაზე ასე შორს გასვლა მოახერხა. თანაც, 1973 წლის შემდეგ, რაც ბიორნ ბორგმა არტურ ეშს მოუგო, ნიშიკორი პირველი თინეიჯერია, ვინც ტოპოთხეულში მყოფი მეჩოგნის დამარცხება შეძლო. ვერაფერს იტყვი, ძალიან საზარბიელო კომპანიაა.

„არც კი მჯერავს რომ ამის გაკეთება შევძელი. მგონია ისევ სიზმარში ვარ“ — სიხარულისგან ცმუკავდა ნიშიკორი.

ახლა კი დროა ქალთა ტურნირზე გადავერთოთ, სადაც თავიდან ნიუ იორკის დროით პარასკევს, ჩვენი დროით კი შაბათს გამართული მატჩები უნდა ვახსენოთ. უმთავრესი სვეტლანა კუზნეცოვას მარცხი გახლდათ, რომელიც კატერინა სრებოტნიკისგან დაიჩაგრა. კლასით ეს ჩოგბურთელები სხვადასხვა საფეხურზე კი დგანან, მაგრამ ჯერაც ტურნირის პრევიუს დროს ვამბობდით, წლეულს კუზნეცოვა უსაზიზღრეს ფორმაშიაო, რაც ახლა დამტკიცდა კიდეც — სლოვენიელმა აკურატულობით აჯობა მეტოქეს და თითქმის ორჯერ ნაკლები შეცდომა დაუშვა.

სამაგიეროდ არაფერს უჩივის მეორე რუსი, პეკინში ოქროს მომგები ელენა დემენტიევა, რომელმაც ენ კეოტავანგი ძალიან წყნარად დააშამათა და მეოთხედფინალის საგზურისთვის ნა ლის დაეჯახება.

გუშინდელი ამბებიდან კი აუცილებლად შავდა უილიამსების ფანტასტიური თამაში უნდა ვახსენოთ. ვინუსი და სერენა კრეისერული სიჩქარით მიისწრაფიან მორიგი შიდაოჯახური გარჩევისკენ, რომელიც სულ მალე, უკვე მეოთხედფინალში უნდა მოხდეს. წილისყრის ბრალია, თორემ შავდები ახლა ისე დაფრინავენ, წესით ფინალზე ადრე არ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს.

გუშინ კი ორივემ ერთნაირი ანგარიშით — 6:2 6:1 გადაურბინეს თავიანთ მეტოქეებს. უფროსი დისგან ალიონა ბონდარენკომ იზარალა. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ მეორე ბონდარენკო, კატერინა პირველ წრეში მეორე უილიამსისგან, სერენასგან მიიჩოგნა. უმცროსი შავდის საკბილოდ კი ვეტერანი აი სუგიამა იქცა.

სამაგიეროდ, გაუჭირდა დინარა საფინას. ტიმეა ბაჩინსკის კარგი თამაში რუსისთვის სიურპრიზად იქცა და მას სეტნახევარი დასჭირდა თავისი რიტმის საპოვნელად, თუმც როცა იპოვა, მას შემდეგ შვეიცარიელს შანსი აღარ დაუტოვა.

**ბაჩა ლომჯარიძე**



სიძე (მარჯვნივ) და მეჯვარე: მარდი ფიში და ჯეიმს ბლეიკი

29 აგვისტო

## კაცები

### მეორე წრე

ენდი როდიკი (8, აშშ) — ერნესტ გულბისი (ლატვია) 3:6 7:5 6:2 7:5; ანდრეა სეპი (31, იტალია) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 6:2 4:6 6:2 6:2; იარკო ნიემინენი (ფინეთი) — ივო მინარი (ჩეხეთი) 6:7 3:6 6:4 6:3 6:2; ფერნანდო გონსალესი (11, ჩილე) — ბობი რეინოლდსი (აშშ) 7:6 6:4 6:4; ტომი რობრედო (15, ესპანეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 4:6 7:6 6:4 6:0; ჟო-ვილფრიდ ცონგა (19, საფრანგეთი) — კარლოს მოია (ესპანეთი) 4:6 6:3 6:4 6:4; მარინ ჩილიჩი (30, ხორვატია) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4 2:6 6:2 7:5; ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) — რობერტ კენდრიკი (აშშ) 7:6 6:4 6:4; ნიკოლაი დავიდენკო (5, რუსეთი) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:4 6:4 7:6; დმიტრი ტურსუნოვი (26, რუსეთი) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:7 6:3 6:4 6:2; ნიკოლას ალმაგრო (18, ესპანეთი) — სემ ვორბურგი (აშშ) 6:3 6:4 6:4; ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) — ტომი ჰაასი (გერმანია) 2:6 2:6 7:6 6:3 6:3; ფერნანდო ვერდასკო (13, ესპანეთი) — რუი მაჩადო (პორტუგალია) 6:7 7:6 6:4 6:7 6:0; იგორ ანდრეევი (23, რუსეთი) — ჟერემი ჩარდი (საფრანგეთი) 7:6 6:4 6:3; რადეკ შტეპანეკი (28, ჩეხეთი) — კრის გუჩიონე (ავსტრალია) 6:4 6:4 6:7 6:2; როჯერ ფედერერი (2, შვეიცარია) — ტიაგო ალვეში (ბრაზილია) 6:3 7:5 6:4

## ქალები

### მესამე წრე

ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) — ენ კეტავონგი (ბრიტანეთი) 6:3 6:4; ნა ლი (ჩინეთი) — ეკატერინა მაკაროვა (რუსეთი) 6:1 4:6 6:2; პატი შნიდერი (15, შვეიცარია) — მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკეთი) 7:6 6:4; კატარინა სრებოტნიკი (28, სლოვენია) — სვეტლანა კუზნეცოვა (3, რუსეთი) 6:3 6:7 6:3; სიბილ ბამერი (29, ავსტრია) — ტატიანა პერებინისი (უკრაინა) 6:3 6:0; მარიონ ბარტოლი (12, საფრანგეთი) — ლინდსი დევენპორტი (23, აშშ) 6:1 7:6; კაროლინ ვოზნიაკი (21, დანია) — ვიქტორია აზარენკა (14, ბელარუსი) 6:4 6:4; ელენა იანკოვიჩი (2, სერბეთი) — ჟი ჟენგი (ჩინეთი) 7:5 7:5

30 აგვისტო

## კაცები

### მესამე წრე

რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) — ვიქტორ ტროიცკი (სერბეთი) 6:4 6:3 6:0; სემ ქუერეი (აშშ) — ივო კარლოვიჩი (14, ხორვატია) 7:6 7:6 6:2; მარდი ფიში (აშშ) — ჯეიმს ბლეიკი (9, აშშ) 6:3 6:3 7:6; გაელ მონფილზი (საფრანგეთი) — დავიდ ნალბანდიანი (7, არგენტინა) 6:3 6:4 6:2; კეი ნიშიკორი (იაპონია) — დავიდ ფერერი (4, ესპანეთი) 6:4 6:4 3:6 2:6 7:5; ხუან მარტინ დელ პოტრო (17, არგენტინა) — ჟილ სიმონი (16, საფრანგეთი) 6:4 6:7 6:1 3:6 6:3; სტანისლას ვავრინკა (10, შვეიცარია) — ფაბიო ჩიპოლა (იტალია) 5:7 6:7 6:4 6:0 6:4; ენდი მიურეი (6, ბრიტანეთი) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:7 4:6 7:6 6:1 6:3

## ქალები

### მესამე წრე

ამელი მორესმო (32, საფრანგეთი) — ჯული კოინი (საფრანგეთი) 6:4 6:4; ფლავია პენეტა (16, იტალია) — ნადია პეტროვა (19, რუსეთი) 4:6 6:4 6:3; ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) — ალიზ კორნე (17, საფრანგეთი) 6:4 7:5; დინარა საფინა (6, რუსეთი) — ტიმეა ბაჩინსკი (შვეიცარია) 3:6 7:5 6:2; სერენა უილიამსი (4, აშშ) — აი სუგიამა (30, იაპონია) 6:2 6:1; სევერინ ბრემონი (საფრანგეთი) — ტატიანა გარბინი (იტალია) 7:5 3:6 6:4; აგნეშკა რადვანსკა (9, პოლონეთი) — დომინიკა ციბულკოვა (18, სლოვაკეთი) 6:0 6:3; ვინუს უილიამსი (7, აშშ) — ალიონა ბონდარენკო (27, უკრაინა) 6:2 6:1

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 22:15 | 130 | ფრაიბურგი-ჰანზა | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 21:45 | 131 | ციურიხი-ბელინცონა | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 22:00 | 132 | ვინტერთური-ლოზანა | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 70 | ბარი-ტრიესტინა | 1.80 | 2.90 | 5.00 | 1.11 | 1.32 | 1.83 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 22:30 | 173 | მონპელიე-მეცი | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 22:15 | 194 | მარიტიმუ-გიმარაეში | 2.35 | 3.10 | 2.90 | 1.33 | 1.29 | 1.49 |
| | | 2 სექტემბერი | | | | | | |
| 00:15 | 195 | ბრაგა-სპორტინგი | 3.10 | 3.10 | 2.25 | 1.54 | 1.30 | 1.30 |
| | | თურქეთი. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 22:00 | 196 | ბეშიქთაში-კონია | 1.35 | 4.50 | 8.50 | 1.03 | 1.16 | 2.94 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩეხეთი. გამბრინუსლიგა | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 19:15 | 71 | ბანიკი-სლავია | 2.50 | 3.00 | 2.70 | 1.36 | 1.29 | 1.42 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 72 | მიდტიულანდი-ვეილე | 1.45 | 4.10 | 7.20 | 1.07 | 1.20 | 2.61 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 206 | ლილესტრიომი-სტაბეკი | 2.75 | 3.30 | 2.45 | 1.50 | 1.29 | 1.40 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 215 | ელფსბორგი-ლიუნგსკილე | 1.35 | 4.20 | 7.70 | 1.02 | 1.14 | 2.71 |
| 21:00 | 216 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 21:00 | 217 | იურგორდენი-იორებრო | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| 22:00 | 218 | გიოტებორგი-გაის | 1.80 | 3.30 | 4.40 | 1.16 | 1.27 | 1.88 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 219 | ლანდსკრონა-ბუნკეფლო | 1.75 | 3.40 | 4.40 | 1.15 | 1.25 | 1.91 |
| 21:00 | 220 | ენჩიოპინგი-ბრომაპოიკარნა | 2.80 | 3.30 | 2.30 | 1.51 | 1.26. | 1.35 |
| | | ფინეთი. ვაიკაუსლიგა | | | | | | |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 20:00 | 229 | ინტერი-კტპ | 1.25 | 5.00 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.27 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ფეხბურთი

# შიმშილი და გულისრევა



ფაბიო კაპელო

**ფაბიო კაპელომ** ინგლისის ნაკრების ვარსკვლავებს ისეთი კოშმარული დიეტა დაუწესა, რომ, გაზეთების მტკიცებით, ისინი თავიანთ ოთახებში მალულად შოკოლადის ფილებს ეზიდებიან და ცარიელი კუჭების რამენაირად ამოვსებას ცდილობენ. ნაკრების ბანაკიდან გამოსული ხმების თანახმად, მოთამაშეები ჩიფსებსაც ეძალებიან.

მოგეხსენებათ, 62 წლის იტალიელი მწვრთნელი სიმკაცრით არის ცნობილი, მაგრამ მისი რეჟიმი ჭამასაც თუ გადაწვდებოდა, ალბათ, ბევრს არ ეგონა. კერძოდ კი ასეა: კაპელოს განკარგულებით, ფეხბურთელებმა ვარჯიშის შემდეგ რვა საათის განმავლობაში პირში ნამცეციც კი არ უნდა გაიკარონ.

რასაკვირველია, ეს აკრძალვა მხოლოდ შეკრებების პერიოდს ეხება, მაგრამ მავანთა აზრით, ჩეხეთის ნაკრებთან ინგლისელთა ამასწინანდელი საძაგელი თამაში სწორედ დიეტის ბრალი იყო.

გაზეთი „სანი" ელაპარაკა ინგლისის ნაკრებთან დაკავშირებულ ადამიანს, რომლის ვინაობასაც არ ასახელებს, მაგრამ ამბობს, რომ ეს კაცი გუნდში მეტად მნიშვნელოვან პოზიციაზეა. მოკლედ, ის, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, მესამეხარისხოვანი პერსონალის ნათქვამი არ არის.

ციტატა: „ვარჯიშის შემდეგ მოთამაშეები თავბრუსხვევისა და გულისრევის შეგრძნებას უჩიოდნენ. მათ ოთხი დღე გაატარეს ერთად და ვერ წარმოიდგენთ, რა ცოტა ჭამეს ამ ოთხი დღის განმავლობაში. მათი უმეტესობა ისეთ დიეტასაა დაჩვეული, რომლის დროსაც კარბოჰიდრატების მიღება ნებადართულია, ახლა კი ერთადერთი, რასთან მიკარების ნება ეძლევათ, ბურბუშელა და ტოსტერზე შემწვარი პურია. ამ რეჟიმმა ფეხბურთელებზე ისე ცუდად იმოქმედა, რომ ზოგმა მათგანმა კაპელოს ზურგსუკან დაიწყო შოკოლადის და ჩიფსების ჭამა".

მეტიც, იტალიელი მწვრთნელის დიეტამ ვარჯიშის დროს ერთ ფეხბურთელზე ისე იმოქმედა, რომ მას (და სავარაუდოდ ეს „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი რიო ფერდინანდი იყო) სავარჯიშო ტაიმებს შორის გულიც კი აერია.

„ერთ წამყვან მოთამაშეს კუჭის კრუნჩხვები დაეწყო და გასახდელში, იატაკზე გულიც აერია. იცით, ფეხბურთელები მუცლის მონები კი არ არიან, უბრალოდ, უჩვეულოდ დიდი ხნის განმავლობაში საკვები რომ არ მიიღეს, მათმა ორგანიზმმა რეაქცია მისცა".

შეგახსენებთ, რომ უკომპრომისო მწვრთნელის სახელის მქონე ფაბიო კაპელო ინგლისის ნაკრების თავკაცად გასული წლის დეკემბერში დანიშნეს და გასამრჯელოდ წლიური 6 მილიონი გირვანქა დაუწესეს.

ადამიანმა, რომლისგანაც „სანმა" ნაკრების ბანაკში მიმდინარე ამბები შეიტყო, კიდევ აი, რა თქვა:

„რასაკვირველია, მკაცრი დიეტის გამო ფეხბურთელებმა ერთმანეთში იწუწუნეს, მაგრამ მწვრთნელთან მისვლა და ჩივილი ვერცერთმა გაბედა".

**ბაჩუნა ძიდია**

## ნევეში ჰამბურგს შეუერთდა

**ბუნდესლიგის** „ჰამბურგმა" ბრაზილიური „ფლუმინენსედან" შემტევი ნახევარმცველი ტიაგუ ნევეში გადაიყვანა. ფეხბურთელმა გერმანელებთან ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, მისმა სატრანსფერო ღირებულებამ კი, სავარაუდოდ, 12,5 მილიონი ევრო შეადგინა. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელი მოთამაშით, თავის დროზე, ინგლისური და იტალიური გრანდები იყვნენ დაინტერესებულნი, მათ შორის, „მანჩესტერ იუნაიტედი" და „რომა".

## ლარსონი კვლავ აქტუალურია

**შვედეთის** ნაკრების უბერებელი თავდამსხმელის, ჰენრიკ ლარსონის, შეძენა რამდენიმე ინგლისურ კლუბს სურს. ამ მხრივ, განსაკუთრებით „ევერტონი" და „ტოტენჰემი" აქტიურობენ. ფეხბურთელის აგენტმა რობ იანსენმა დაადასტურა, რომ მისმა კლიენტმა ინგლისიდან წინადადება მიიღო: „ახლა ყველაფერი ჰენრიკზეა დამოკიდებული. არ ვიცი, მოისურვებს თუ არა იგი კლუბის გამოცვლას. ჩემი კლიენტი საბოლოო გადაწყვეტილებას ამ უქმეებზე მიიღებს" — აღნიშნა შვედის აგენტმა. ამჟამად ლარსონი მშობლიური „ჰელსინგბორგის" რიგებში ირიცხება.

## პომპეიმ მოტა დაიწუნეს

**ინგლისურმა** „პორტსმუთმა" ნახევარმცველ ტიაგუ მოტასთან კონტრაქტის გაფორმებაზე უარი განაცხადა. მადრიდის „ატლეტიკოს" ბრაზილიელი მოთამაშე „პომპეიში" ერთი კვირის განმავლობაში გადიოდა შემოწმებას და ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელის ჯანმრთელობით უკმაყოფილო დარჩა. გასულ სეზონში მოტამ მარცხენა მუხლის სამი ოპერაცია გადაიტანა და პრიმერადივიზიონში მხოლოდ ექვსი მატჩის ჩატარება შეძლო.

## ბალაკის გარეშე

**გერმანიის** ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, ლონდონის „ჩელსის" ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი თავის ნაკრებს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ლიხტენშტაინისა და ფინეთის წინააღმდეგ ვერ დაეხმარება. გერმანიის ნაკრების კაპიტანს მარცხენა ფეხის ტრავმა აწუხებს და გასულ კვირას საერთოდ არ უვარჯიშია, თუმცა, მიუხედავად ამისა, ბალაკი ნაკრების ექიმებს მაინც შეხვდება და მათგან კონსულტაციას მიიღებს.

## ოგერარუ სამშობლოს დაუბრუნდა

**რუმინელი** მცველი გეორგე ოგერარუ თავის ყოფილ კლუბს, ბუქარესტის „სტიაუას" დაუბრუნდა. ამის შესახებ რუმინული კლუბის მფლობელი ჯიჯი ბეკალი იუწყება. როგორც ჩანს, ოგერარუ ამსტერდამის „აიაქსის" ახალი თავკაცის მარკო ვან ბასტენის სამომავლო გეგმებში ვერ მოხვდა.

**არჩილ ძოგახიძე**

# ინგლისი
## პრემიერლიგა
### III ტური

**ვესტ ჰემი 4:1 ბლექბერნი**

1:0 დევენპორტი (12), 2:0 სამბა (20ს.კ.), 2:1 რობერტსი (22), 3:1 კ. კოული (90), 4:1 ბელამი (90)

ვესტ ჰემი: გრინი, ბეჰრამი, დევენპორტი, აპსონი, ნილი, ფობერი (მაკარტნი 60), პარკერი, ნობლი (მულინსი 81), ეზერინგტონი, კ. კოული, ეშტონი (ბელამი 69)

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

ბლექბერნი: რობინსონი, ოიერი, სამბა, ნილსენი, უორნოკი, ემერტონი, რიდი, გრელა (ენდრიუსი 46), პედერსენი (ტრისი 66), სანტა კრუსი (დერბიშირი 29), რობერტსი

მწვრთნელი: პოლ ინსი

გაფრთხილება: ბელამი, გრელა, რობერტსი, ოიერი, ემერტონი, ნილსენი

მსაჯი: რაილი

32 905 მაყურებელი

**ბოლტონი 0:0 ვესტ ბრომვიჩი**

ბოლტონი: იაასკელაინენი, სტეინსონი, ენდრიუ ობრაიენი, შიტუ, სამუელი, ჯ. ობრაიენი (რიგა 14), მაკკანი, მუამბა, გარდნერი, ნოლანი, დევისი

მწვრთნელი: გერი მეგსონი

ვესტ ბრომვიჩი: კარსონი, ზუიველოორნი, მეიტე (ჰოჯკინსი 46), ბარნეტი, რობინსონი, ვალერო (ჩეხი 58), კორენი (მაკდონალდი 70), გრინინგი, მორისონი, კიმი, მილერი

მწვრთნელი: ტონი მოუბრეი

გაფრთხილება: ნოლანი, მაკკანი, რობინსონი, მაკდონალდი

მსაჯი: სტრუდი

20 387 მაყურებელი

**ევერტონი 0:3 პორტსმუთი**

0:1 დეფო (12), 0:2 ჯონსონი (40), 0:3 დეფო (69)

ევერტონი: ჰოვარდი, ფ. ნევილი, იობო, ლესკოტი, ბაინესი, არტეტა, როდველი, იაგიელკა, ოსმანი (ბაქსტერი 71), იაკუბუ, ვოენი (ანიჩებე 58)

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

პორტსმუთი: ჯეიმსი, ჯონსონი, კაბული, კემპბელი, დისტინი, დიოპი, დევისი (მვუემბა 90), დიარა, ტრაორე (პრედარსონი 77), კრაუჩი, დეფო (უტაკა 76)

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

გაფრთხილება: ბაინესი

მსაჯი: ჰალსი

34 418 მაყურებელი

**ჰალი 0:5 უიგანი**

0:1 რიკეტსი (5ს.კ.), 0:2 ვალენსია (13), 0:3 ზაკი (63), 0:4 ჰესკი (68), 0:5 ზაკი (81)

ჰალი: მაიჰილი, რიკეტსი, ბრაუნი, ტერნერი, დოუსონი (მენდი 71), ფაგანი, ეშბი, მარნეი, გარსია (ბარმბი 60), ჯოვანი (ვინდასი 56), ფოლანი

მწვრთნელი: ფილ ბრაუნი

უიგანი: კირკლანდი, მელხიოტი, ბოისი, ბრამბლი, ფიგეროა, ვალენსია, პალასიოსი, კატერმოლი (კამო 79), კილბეინი (ბრაუნი 56), ჰესკი (კამარა 85), ზაკი

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

გაფრთხილება: ეშბი

მსაჯი: ჯონსი

24 282 მაყურებელი

**მიდლსბრო 2:1 სტოკი**

1:0 ალვეში (57), 1:1 ჰოიტი (71), 2:1 თუნჯაი (85)

მიდლსბრო: ტერნბული, ჰოიტი (ტეილორი 72), ვიტერი, ჰუტი, პოგატეცი, ალიადირი, შავკი (დიგარდი 61), ონილი, დაუნინგი, ალვეში (მიდო 76), თუნჯაი

მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი

სტოკი: სორენსენი, გრიფინი, კორტი, აბდულაიე ფაიე, დიკინსონი (ვილკინსონი 67), ლოურენსი, ოლოფინიანა, ამდი ფაიე, დელაპი, კიტსონი (კრესველი 83), ფულერი (სიდიბე 74)

მწვრთნელი: ტონი პულისი

გაფრთხილება: ონილი, ჰუტი, გრიფინი, ფულერი, ლოურენსი, ვილკინსონი

გაძევება: ამდი ფაიე (56)

მსაჯი: დინი

27 627 მაყურებელი

**არსენალი 3:0 ნიუკასლი**

1:0, 2:0 ვან პერსი (18პ, 41), 3:0 დენილსონი (59)

არსენალი: ალმუნია, სანია, ტურე, გალასი, კლიში, ებუე (უოლკოტი 72), ფაბრეგასი, დენილსონი, სონგი, ნასრი, ადებაიორი, ვან პერსი (ველა 63)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

ნიუკასლი: გივენი, კოლოჩინი, ენრიკე (ბასონგი 44), ტეილორი, გუტიერესი (ბარტონი 89), გეზრი, ბატი, ბეიე (ედგარი 89), ნზოგბია, ოუენი, ამეობი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

გაფრთხილება: ფაბრეგასი, ნასრი, კოლოჩინი, გივენი

მსაჯი: სტაილზი

60 067 მაყურებელი

**სანდერლენდი 0:3 სიტი**

0:1 აირლენდი (45), 0:2, 0:3 რაით-ფილიპსი (50, 58)

სანდერლენდი: გორდონი, ბერდსლი, ნოსვორთი, კოლინსი, შიმბონდა, მალბრანკი, ლიდბიტერი (მერფი 60), რიდი, რიჩარდსონი, სისე (სტოუქსი 60), დიუფი (ჩოპრა 60)

მწვრთნელი: როი კინი

სიტი: ჰართი, ჩორლუკა, რიჩარდსი (ბენჯამინი 40), დანი, ბოლი, აირლენდი, ჰამანი, ჯონსონი (გელსონი 81), კომპანი, რაით-ფილიპსი (ელანო 85), ჟო

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

გაფრთხილება: ბერდსლი, ჩოპრა, რიჩარდსონი, შიმბონდა, რიჩარდსი, კომპანი

მსაჯი: კრის ფოი

39 622 მაყურებელი

**ასტონ ვილა 0:0 ლივერპული**

ასტონ ვილა: ფრიდელი, ლ. იანგი (მილნერი 64), ლაურსენი, დევისი, შორი (გარდნერი 79), რეო-კოკერი, პეტროვი, ბარი, ე. იანგი, კარეუ, აგბონლაჰორი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, შკრტელი, დოსენა, კუიტი (აურელიო 70), ალონსო, მასკერანო, ლუკასი, კინი (ბენაიუნი 79), ტორესი (ნგოგი 30)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: შკრტელი, დოსენა

მსაჯი: მარტინ ეტკინსონი

41 647 მაყურებელი

**ჩელსი 1:1 ტოტენჰემი**

1:0 ბელეტი (28), 1:1 ბენტი (45)

ჩელსი: ჩეხი, ბელეტი (კალუ 75), კარვალიუ, ტერი, ე. კოული, ბოსინგვა, ესიენი, ლამპარდი, ჯ. კოული (მალუდა 65), დეკუ, ანელკა (დი სანტო 88)

მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

ტოტენჰემი: გომესი, ზოკორა, ვუდგეიტი, კინგი, გუნტერი (ჰადლსტოუნი 62), ბენთლი (ოჰარა 72), ჯენასი, მოდრიჩი, ბეილი, ჯოვანი (ლენონი 59), ბენტი

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

გაფრთხილება: დეკუ, ჯ. კოული, ბოსინგვა

მსაჯი: ხოვარდ უები

41 790 მაყურებელი

**მანჩესტერი — ფულემი**

გადაიდო

# ანტიპენალტური

**5:0-ის** მომგები მწვრთნელი რომ იტყვის, ეს უცუდესი მატჩი იყო ჩემი გუნდისა სამ ტურშიო, წაგებულის თავკაცმა რაღა უნდა თქვას? „ჰალს" 12 იანვრის შემდეგ შინ არ წაეგო, მაგრამ „უიგანთან" ისე შერცხვა, რომ კიდევ ბევრი იანვარი ჩაივლის, სანამ ამ სირცხვილს დაივიწყებენ.

პრემიერლიგის დებიუტანტმა „ვეფხვებმა" ახლა ყველაფერს გაუგეს გემო ელიტაში. პირველ ტურში მოიგეს, მეორეში ფრე ითამაშეს და მესამეში დამარცხდნენ. მათი პრემიერლიგური „ნათლობა" შედგა.

„შეიძლება სულელურად ჟღერს, მაგრამ სამ ტურში ეს იყო ჩემი გუნდის უცუდესი მატჩი — თქვა „უიგანის" თავკაცმა სტივ ბრიუსმა — ვიცოდი, რომ აქ რთული თამაში გველოდა, რადგან „ჰალს" განსაკუთრებული გულშემატკივრები ჰყავს".

„აი, ეს არის პრემიერლიგა — განაცხადა მასპინძელთა მწვრთნელმა ფილ ბრაუნმა — „უიგანმა" ხუთჯერ დაარტყა კარში და ხუთივე გაიტანა, თუმც პირველი და მეორე გოლები ჩვენ ვაჩუქეთ".

კევინ კილბეინმა კუთხურიდან ახლო ძელთან დაბალი ჩააწოდა, მცველი სემ რიკეტსი კი ბურთის მოსაგერიებლად გასრიალდა. ვერც მოიგერია და მეკარეც დააბნია, ხოლო ბურთი კარში შევარდა.

ანტონიო ვალენსია მეკარესთან პირისპირ გავიდა და მშვიდად შეაგდო მეორე გოლი.

მასპინძელთა დაცვა ამის შემდეგ გონს მოვიდა, მაგრამ მეორე ტაიმის ბოლო ნახევარ საათში ისევ აურია. ამრ ზაქიმ დუბლი მიითვალა, მის გოლებს შორის კი ერთი ემილ ჰესკიმ ჩაამატა.

„ვესტ ჰემის" მეკარემ რობერტ გრინმა „ბლექბერნის" ფორვარდ ჯეისონ რობერტსს 47-ე წუთზე პენალტი აუღო, როცა მასპინძლები 2:1-ს იგებდნენ.

„ჩაქუჩები" კალუმ დევენპორტმა თავური გოლით დააწინაურა, მეორე კი ბლექბერნელმა კრისტოფერ სამბამ საკუთარ კარში გაიტანა — ბურთი ფეხში მოხვდა და მეკარე დააბნია.

„ბლექბერნს" პირველივე ტაიმში დაუშავდა მეგოლე როკე სანტა კრუსი და მის გარეშე გუნდი შესვენების შემდეგ ფხიანად ველარ უტევდა. ბოლოს სტუმრები კონტრშეტევაზე ორჯერ გამოიჭირეს. ჯერ კრეიგ ბელამიმ შეაგდო ათიოდ მეტრიდან ცხრიანში, მერე კი კარლტონ კოულმა სხვაობა სამამდე გაზარდა.

რობერტსი დაემართა ევერტონელ იაკუბუ აიეგბენისაც — ნიგერიელს პენალტი „პორტსმუთის" მეკარე დევიდ ჯეიმსმა არ გაატანინა. მასპინძელი „ევერტონი" ამ მომენტისთვის 0:2-ს აგებდა. პირველი ჯერმეინ დეფომ შეაგდო, მეორე კი გლენ ჯონსონმა. შინ კარგი თამაშით განთქმულ „ევერტონს" ამ სეზონში რაღაც დაემართა — ზედიზედ მეორე მატჩი წააგო „გუდისონ პარკზე" და ორივეში სამ-სამი გოლი გაუშვა.

„პორტსმუთის" ახალწვეულმა პიტერ კრაუჩმა წერტილი დასვა: ხარიხიდან უკუგდებულ ბურთი ბადეში თავით ორი მეტრიდან შეაბრძანა.

„ჩემი გუნდი აშკარად ვერაა ფორმაში. ახალი ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ მათზე უარესად გამოცდილები თამაშობენ, რომლებსაც უფრო მეტი მოეთხოვებათ" — განაცხადა წაგებულთა მწვრთნელმა დევიდ მოიესმა.

კიდევ ერთი ვერგატანალი პენალტის ავტორია მიდლსბროელი სტიუარტ დაუნინგი. „ბორო" 36-ე წუთიდან კაცმეტი ეთამაშებოდა „სტოკს", მაგრამ სტუმრები მაგრად დაუდგნენ. ამდი ფაიეს გაძევებისთანავე „სტოკის" კარში დანიშნული საჯარიმო აფონსუ ალვეშმა გამოიყენა, 63-ეზე კი დაუნინგმა თერთმეტი მეტრიდან ბურთი ძელს გაარტყა.

ამას მოჰყვა ჯასტინ ჰოიტის გოლი საკუთარ კარში და სტოკელთა სიხარული, მაგრამ თუნჯაი შანლიმ სტუმრებს ქულა მაინც არ დაანება.

რობინ ვან პერსიმ „ნიუკასლთან" პირველ ტაიმში დუბლი შეასრულა, მეორეში კი დენილსონმა მესამე გაიტანა. ვან პერსიმ ანგარიში პენალტით გახსნა, რომელიც ხელით თამაშის გამო დაინიშნა და კევინ კიგანმაც უსამართლო უწოდა.

„მეთოფე" ჰოლანდიელმა შესვენებამდე ოთხი წუთით ადრე მეორეც მიაყოლა, როცა ებუესგან ქუსლით პასი მიიღო.

„ნიუკასლმა" ვერც შესვენების შემდეგ შეძლო რაიმე სახეიროს შექმნა, ხოლო მასპინძლებმა ბევრი მომენტიდან მხოლოდ ერთი გამოიყენეს. საჯარიმოში შესულმა დენილსონმა შეი გივენსგან მარჯვენა დაბალ კუთხეში შეასრიალა.

89-ე წუთზე მოედანზე შევიდა ნაციხარი ჯოი ბარტონი, რასაც ტრიბუნებიდან სტვენა მოჰყვა. ბარტონმა წამებში მოასწრო სამირ ნასრის გაბრაზება, რაკი ფრანგს გაშლილი ფეხით ჩაუხტა. ნასრიმ არ დაივიწყა და წუთის მერე ხურდა დაუბრუნა — უბურთო ნიუკასლელს ფეხი გამოსდო, წააქცია და ყვითელი ბარათი მიიღო.

გუშინდელი მატჩების შემდეგ ქულადაუკარგავი აღარავინ დარჩა. „ჩელსიმ" ლონდონურ დერბიში ვერ მოუგო „ტოტენჰემს", რომელმაც ორი წაგებული თამაშის შემდეგ ფრე გაახერხა, „ლივერპული" კი ბირმინგემში „ასტონ ვილას" უგოლოდ დაუზავდა.

„ჩელსი" კუთხურის შედეგად დაწინაურდა — ბელეტიმ ცაციით ახლოდან გაიტანა, დარენ ბენტმა კი მცველთა შეცდომით ისარგებლა და ჩეხთან პირისპირ გასულმა შანსი გამოიყენა.

„მანჩესტერ სიტიმ" ზედიზედ მეორე მატჩი 3:0 მოიგო — წინა ტურში „ვესტ ჰემი" დაამარცხა, ამჯერად კი „სანდერლენდი" შონ რაიტ-ფილიპსის კარგი თამაშის წყალობით. „ჩელსიდან" განათხოვრებულმა ნახევარმცველმა სადებიუტო შეხვედრაში დუბლი შეასრულა, მანამდე კი სტუმრები აირლენდმა დააწინაურა.

**ვაჟა ხუციშვილი**



„ჩაქუჩი" რობერტ გრინის მოგერიებული პენალტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| ლივერპული | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| სიტი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 6 |
| არსენალი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 6 |
| ვესტ ჰემი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| მიდლსბრო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ასტონ ვილა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| ბოლტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბლექბერნი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:7 | 4 |
| ნიუკასლი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | 4 |
| ჰალი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:7 | 4 |
| უიგანი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:3 | 3 |
| ფულემი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| სტოკი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| პორტსმუთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ევერტონი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| სანდერლენდი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ტოტენჰემი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| ვესტ ბრომვიჩი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |

**IV ტური, 13 სექტემბერი**

ბლექბერნი — არსენალი
ფულემი — ბოლტონი
ლივერპული — მანჩესტერი
სიტი — ჩელსი
ნიუკასლი — ჰალი
პორტსმუთი — მიდლსბრო
სტოკი — ევერტონი
ტოტენჰემი — ასტონ ვილა
ვესტ ბრომვიჩი — ვესტ ჰემი
უიგანი — სანდერლენდი

## ჩემპიონლიგა
### IV ტური

საუთჰემპტონი — ბლექპული 0:1; ბარნსლი — დერბი 2:0; რედინგი — კრ. პალასი 4:2; ვულვზი — ნოტინგემი 5:1; შეფილდი — კარდიფი 0:0; ნორვიჩი — ბირმინგემი 1:1; ბრისტოლი — ქუინზ პარკი 1:1; ბარნლი — პლიმუთი 0:0; პრესტონი — ჩარლტონი 2:1; სუონსი — უენსდი 1:1; დონკასტერი — ქოვენთრი 1:0; უოტფორდი — იფსვიჩი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:4 | 10 |
| პრესტონი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| ბირმინგემი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| ბრისტოლი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 8 |
| შეფილდი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 |
| რედინგი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 7 |
| სუონსი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| უოტფორდი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ქუინზ პარკი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| დონკასტერი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 7 |
| ჩარლტონი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:5 | 6 |
| კარდიფი | 4 | 1 | 3 | 0 | 5:4 | 6 |
| ქოვენთრი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| უენსდი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 5 |
| ბლექპული | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ნოტინგემი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:10 | 4 |
| იფსვიჩი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |
| ბარნსლი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | 3 |
| ნორვიჩი | 4 | 0 | 3 | 1 | 4:6 | 3 |
| საუთჰემპტონი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:5 | 3 |
| პლიმუთი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |
| კრ. პალასი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | 2 |
| ბარნლი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:7 | 2 |
| დერბი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | 1 |

## I ლიგა
### IV ტური

ბრაიტონი — ლეიტონი 0:0; კარლაილი — იოვილი 4:1; ჩელტენემი — ლესტერი 0:4; ჰერეფორდი — ქრიუ 2:0; ლიდსი — როვერსი 2:2; მილუოლი — ჰადერსფილდი 2:1; მილტონი — სუინდონი 1:2; პიტებრო — ჰარტლპული 1:2; სტოკპორტი — სკანთორპი 0:3; ტრანმერი — ნორთჰემპტონი 4:1; უოლსოლი — საუთენდი 5:2; კოლჩესტერი — ოლდემი 2:2

## II ლიგა
### IV ტური

ალდერშოტი — ბრედფორდი 3:2; ბრენტფორდი — როტერჰემი 0:0; ჩესტერი — ბარნეტი 5:1; ჩესტერფილდი — უიკომბი 0:1; ექსეტერი — ლუტონი 0:1; ჯილინგემი — აკრინგტონი 1:0; ლინკოლნი — გრიმზბი 1:1; მაკლსფილდი — დარლინგტონი 0:6; მორიკამბი — დაგენემი 1:2; ნოტსი — შრიუსბერი 2:2; პორტ ვეილი — ბორნმუთი 3:1; როჩდეილი — დერი 1:1

## კონფერენსლიგა
### VI ტური

ტორკი — იორკი 1:1; ბეროუ — სტივენიჯი 1:3; ბარტონი — ლუისი 5:2; კროული — ნორსვიჩი 5:2; ისტბორნი — ალტრინჩემი 1:0; ებსფლიტი — ოქსფორდი 1:1; ჰისტონი — ფორესტ გრინი 0:1; კეტერინგი — უოკინგი 1:0; კიდერმინსტერი — რაშდენი 2:1; მენსფილდი — გრეისი 1:0; სალისბერი — რექემი 1:4; ვეიმუთი — კემბრიჯი 2:2

# გერმანია

## ბუნდესლიგა
## III ტური

### კარლსრუე 0:2 კიოლნი

0:1 ნოვაკოვიჩი (72), 0:2 რადუ (84)
კარლსრუე: მ. მილერი, კელოცი, სებასტიანი, შტოლი, აიხნერი, მუტცელი (პორსელო 63), ადუბე (კაპლანი 78), ფრაისი, და სილვა, კარნელი (იაშვილი 74), კენედი
მწვრთნელი: ედმუნდ ბეკერი
კიოლნი: მონდრაგონი, უმითი (მაკენა 30), გერომელი, მოჰამადი, ბრეკო, პეტიტი, მატიპი, ანტარი, რადუ, ჩიჰი (ბროიხი 87), ნოვაკოვიჩი (შერცი 89)
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
გაფრთხილება: ადუბე
მსაჯი: მეიერი
29 308 მაყურებელი

### ლევერკუზენი 5:2 ჰოფენჰაიმი

1:0 ჰაგი (8), 2:0 მ. ფრიდრიხი (17), 2:1 იბისევიჩი (21), 3:1 კისლინგი (36), 3:2 სალიჰოვიჩი (583), 4:2 ბარნეტა (83), 4:2 კისლინგი (87)
ლევერკუზენი: ბ. ფერნანდესი, ენრიკე, მ. ფრიდრიხი, ჰაგი, ჟაკპა, როლფესი, რენატო აუგუსტო (დუმი 80), ვიდალი (შვეგლერი 61), ბარნეტა, ჰელმესი (გეკასი 86), კისლინგი
მწვრთნელი: ბრუნო ლაბადია
ჰოფენჰაიმი: იოზჯანი, ბეკი, პ. ნილსონი, კომპერი, ჟაისლი (ველინგტონი 71), ვაისი (ტებერი 46), გუსტავო, სალიჰოვიჩი, კარლოს ედუარდო, იბისევიჩი, ბაა (კოპადო 71)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: გუსტავო, ტებერი
მსაჯი: ბრიხი
22 500 მაყურებელი

### ვოლფსბურგი 2:2 აინტრახტი

0:1 ამანატიდისი (22), 1:1 გრაფიტე (273), 2:1 დეჟაგა (51), 2:2 ტოსკი (84)
ვოლფსბურგი: ლენსი, როიტერი, რ. კოშტა (მადლუნგი 73), ბარძალი, მ. შეფერი (როდრიგო 68), ჟოსუე, დეჟაგა (სანტანა 77), გენტნერი, მისიმოვიჩი, გრაფიტე, ჯეკო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
აინტრახტი: ნიკოლოვი, გალინდო, რუსი (ინამოტო 20), ბელაიდი, პ. ოხსი, კრისი, შპიხერი, მ. ფინკი (შტაინჰოფერი 75), ჰენინი, ტოსკი, ამანატიდისი (ლიბეროპულოსი 33)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ჯეკო, დეჟაგა, მ. ფინკი, ბელაიდი
მსაჯი: ზემანი
23 150 მაყურებელი

### არმინია 2:4 ჰამბურგი

1:0 კატონგო (9), 2:0 ვიხნიარეკი (37), 2:1, 2:2 ბ. რაინჰარდტი (40, 50), 2:3 ოლიჩი (64), 2:4 იაროლიმი (77)
არმინია: აილჰოფი, ლამეი, ბოლმანი, კუჩერა, შულერი, კაუფი, ტ. მარქსი (სადიკი 78), კირხი (კამპერი 68), კატონგო, ჰალფარი, ვიხნიარეკი
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
ჰამბურგი: ფ. როსტი, დემელი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, იანსენი (ბენჟამინი 65), იაროლიმი, დე იონგი, პიტროიპა (პეტრიჩი 46), ტროხოვსკი, გერერო (ტორუნი 88), ოლიჩი
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: ბოლმანი, ბ. რაინჰარდტი, კაუფი, დე იონგი
მსაჯი: ფანდელი
24 500 მაყურებელი

### შალკე 1:0 ბოხუმი

1:0 ვესტერმანი (36)
შალკე: შობერი, რაფინია, ბორდონი (ჰიოვედესი 49), კრსტაიჩი, პანდერი, ჯონსი, ვესტერმანი, ფ. ერნსტი, ასამოა (ჰალილ ალთინთოფი 85), რაკიტიჩი (სანჩესი 64), კურანი
მწვრთნელი: ფრედ რუტენი
ბოხუმი: ფერნანდესი, კონჩა, მალტრიცი, იაჰია, კ. ფუხსი, იმჰოფი (ცდებელი 78), ფრაიერი, დაბროვსკი (ბიონიგი 64), აზაუაგი, სესტაკი (სინანი 71), აშემიანი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
გაფრთხილება: სესტაკი
გაძევება: ფუხსი (90)
მსაჯი: შტარკი
61 673 მაყურებელი

### გლადბახი 3:2 ვერდერი

1:0 მატმური (12), 2:0 ფრენდი (30), 3:0 ბაუმიოჰანი (71), 3:1 პისარო (31), 3:2 დიეგო (89)
გლადბახი: ჰაიმეროტი, კალსენ-ბრეკერი, ბროუერსი, დემსი, ალბერმანი (ლეველსი 75), მ. ნდიენგი (კლაინე 86), პააუვე, ბაუმიოჰანი, მატმური, მარინი (ს. კულიბალი 77), ფრენდი
მწვრთნელი: იოს ლუჰუკაი
ვერდერი: ვიზე, კ. ფრიცი, პრიოდლი (ჰარნიკი 70), ნალდო, ბოინიხი, ბაუმანი (იოზილი 46), ფრინგსი, დ. იენსენი, იეგო, როზენბერგი (უგო ალმეიდა 46), პისარო
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: დემსი, ნალდო, მატმური, დ. იენსეი, დიეგო, პისარო
მსაჯი: გრეფე
54 067 მაყურებელი

### კოტბუსი 0:1 დორტმუნდი

0:1 სუბოტიჩი (45)
კოტბუსი: ტრემელი, რადელიჩი, კუკიელკა, ცვიტანოვიჩი, ცაგდასი, ტ. როსტი, ს. ანგელოვი, რივიჩი (დ. სორენსენი 46), შკელა (ჟულა 78), ილიევი (ბ. იელიჩი 62), რანგელოვი
მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი
დორტმუნდი: ციგლერი, რუკავინა, სუბოტიჩი, ჰემელსი, შმელცერი, ჰაინალი (საჰინი 78), კელი, ბლაჟჩიკოვსკი (ოვომოიელა 83), კრინგე, ზიდანი (კლიმოვიჩი 63), ვალდესი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: სორენსენი, რუკავინა
მსაჯი: პერლი
18 180 მაყურებელი

### შტუტგარტი 2:0 ჰანოვერი

1:0 გომესი (18), 2:0 პარდო (40)
შტუტგარტი: ლემანი, ოსორიო (მანინი 64), ტასკი, დელპიერე, ბოკა (ბულაჰრუზი 60), პარდო, ლაგინი, ჰიცპელგერი, ბაშთურქი, მარიკა (კედირა 46), გომესი
მწვრთნელი: არმინ ფეე
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ეგიმანი, ვინისიუსი, ს. შულცი, ბ. შულცი, ლალა (იანკოვი 62), როზენტალი, ბრუგინკი (შტაინერი 56), შლაუდრაფი (ჰანკე 68), ფორსელი
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
გაფრთხილება: კედირა, იანკოვი
მსაჯი: ვაგნერი
41 000 მაყურებელი

### ბაიერნი 4:1 ჰერტა

1:0 ტონი (12), 2:0 ლამი (54), 3:0 შვაინშტაიგერი (56), 4:0 კლოზე (70), 4:1 პანტელიჩი (84)
ბაიერნი: რენზინგი, ლუსიო, დემიკელისი, ვან ბუიტენი, ლელი (სოსა 71), ოტლი, ლამი, შვაინშტაიგერი (ბოროვსკი 71), ზე რობერტო, ტონი, კლოზე (პოდოლსკი 71)
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი
ჰერტა: დრობნი, ფრიდრიხი, ბერგენი, ტაკა, კასარი, სისერო, პიშჩეკი (შაპედი 57), შტაინი, ებერტი (ლუშტენბერგერი 37), რაფაელი, პანტევიჩი
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი
გაფრთხთილება: კასარი, შტაინი, ფრიდრიხი
მსაჯი: კემპტერი
69 000 მაყურებელი

# კლინსმანის მოსავალი



კისლინგი და ჰაგი: „ლევერკუზენმა“ „ჰოფენჰაიმს“ პირველი ბუნდესლიგური მარცხი აგემა

**ბუნდესლიგის** დაწყებამდე თომას შააფს ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად თავისი „ვერდერი“ მიაჩნდა, მაგრამ სამი ტურის შემდეგ ბრემენელები ცხრილის ქვედა ნახევარში აღმოჩნდნენ.

მიონხენგლადბახში „მუსიკოსები“ ნახევარი საათის თავზე ორბურთიანი სხვაობით აგებდნენ და მერელა გამოფხიზლდნენ, მეორე ტაიმში ბაუმიოჰანმა საუცხოო გოლი რომ გაუტანა.

მასპინძლები ქარიმ მატმურიმ დააწინაურა, რომელიც მეკარესთან პირისპირ გავიდა, რობ ფრენდმა კი თავურით მეორე შეაგდო.

